ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 7 სექტემბერი, 2017 №212 (7447) ფასი: 50 თეთრი

## გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება აღმოჩნდა პოლიტიკურ ბუნკერში“



გვ.3

7 სექტემბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

# მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი და პოროშენკო მოემზადონ“



## რა სცენარს ამზადებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი



გვ.2

ჩვენ ვართ ევროპის ცენტრში, ბრიუსელში. ევროპის მთავარ საპარლამენტო ორგანოში. დააკვირდით მარჯვნივ, მარცხნივ, ვინმე ბორკილებს მადებს? მიჭერს? ვინმე სერიოზულად იღებს მაგათ ბრალდებებს? ეს არის ორლობის, ჭორვილის ბრალდებები, რომელიც უკავშირდება კოსტიუმებს, გასვენებებში მიტანილ ყვავილებს, რასაც ეს ხალხი ყველა აკეთებს დღეში ასჯერ და ამაზე, რომ ამათ უთხრა, ვიღაცა ვიღაცას იჭერს, მით უმეტეს, ყოფილ პრეზიდენტს, შემოგხედავენ, როგორც გიჟს და ავადმყოფს...

## უჩა ნანუაშვილი: „ციანიდის საქმეზე ხელისუფლების განცხადებებმა გავლენა მოახდინა“

გვ.2





„სასამართლო პროცესის დახურვას აზრი არ ჰქონდა“

## გიორგი ჩიტაური: „წყლის ტარიფის გაორმაგება იგეგმება“



„მალე კომუნალურების გადახდა განვადებით მოგვიწევს“

გვ.4

## „ფინანსთა სამინისტრომ 3 თვით გასცა ნახევარი მილიარდი ლარის სესხი“





გვ.3

რომან გოცირიძე: „გვითხრან, ვის თავში დაიბადა ეს მავნე მექანიზმი“

## ოკუპირებული აფხაზეთის სასამართლო სკოლებსა და ბაღებს ასხვისებს

ნარკოტიკების 95% აფხაზეთში რუსეთიდან შედის

გვ.4



ISSN 1987-9385

# უჩა ნანუაშვილი: „ციანიდის საქმეზე ხელისუფლების განცხადებებმა გავლენა მოახდინა“

## „სასამართლო პროცესის დახურვას აზრი არ ჰქონდა“

მანანა იაშვილი

**ციანიდის საქმეზე სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ საკითხზე ვესაუბრეთ საქართველოს სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს, რომლის ოფისიც საქმეზე მონიტორინგს ახორციელებდა.**

***– რას იტყვით სასამართლო გადაწყვეტილებაზე?***

– სამწუხაროდ, ბოლო სასამართლო განხილვა დახურული იყო და მონიტორინგის საშუალება არ მოგვეცა. როდესაც განაჩენს სრულად ვნახავთ, მაშინ შევაფასებთ, რა მტკიცებულებებს დაეყრდნო მოსამართლე. ფაქტია, რომ საქმეში უამრავი დარღვევაა, ამ პროცესუალურ დარღვევებზე ამჟამად მხოლოდ განცხადებას გავავრცელებთ.

***– რატომ დაიხურა სასამართლო პროცესი?***

– ვერ გეტყვით, მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ საქმეში არსებული მასალების მოცულობიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესის დახურვას აზრი არ ჰქონდა.

***– რა სახის დარღვევებზე ლაპარაკობთ?***

– დაველოდოთ სასამართლოს სამოტივაციო ნაწილის გამოქვეყნებას, მაგრამ ახლაც შეიძლება ითქვას, რომ ამ დარღვევებმა აშკარა და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა პროცესის სამართლიან მიმდინარეობას. თუნდაც ის, რომ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, დაცვის მხარეს არ მისცეს უფლება მოეპოვებინათ თბილისის აეროპორტში ბარგს ამოღების და



დაკავების ამსახველი ვიდეო მასალა, მაშინ როდესაც ადვოკატებს გაუთქმელობის ხელწერილი ჰქონდათ დადებული. ეს ვიდეოკადრების ჩანაწერები არ მოუთხოვია არც ბრალდების მხარეს, მათ მხოლოდ მეორეხარისხოვანი საპროცესო მოქმედებები დააფიქსირეს.

***– ბრალის მტკიცებულებებზე რას იტყვით?***

– შეიძლება ითქვას, რომ არაერთი შეუსაბამობა გამოიკვეთა აეროპორტში მყოფი პირების ჩვენებებს შორის. ასევე, საგამოძიებო უწყებას ამ დრომდე არ მოუპოვებია ციანიდის შეძენის დამადასტურებელი მტკიცებულება. უცნობია ის პირი, ვისგანაც დეკანოზმა ციანიდი შეიძინა, მართლაც საშინელი დარღვევებია.

***– უმაღლეს სასამართლოში დეკანოზს გაამართლებენ, თუ სტრასბურში წავა ეს საქმე?***

– ვნახოთ, მოსამართლე რას ითვალისწინებს და რას არა.

***– თქვენ ყველა მასალა ნანახი გაქვთ, რა ეწერა იმ ასეულ ტომში, რომელსაც ერთმა ადვოკატმა მაკულატურა უწოდა?***

– უამრავი შეუსაბამობაა მოწმეთა ჩვენებებში, ბევრი ირიბი მოწმეა, რომელთა უმეტესობა კონკრეტიკის გარეშე საუბრობს.

***– ეს საქმე ხომ სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რატომ გამოიყენეს ადვოკატებისთვის გაუთქმელობის ხელწერილი? მხოლოდ ახლა მოხდა ეს თუ ადრეც იყო ასეთი პრაქტიკა?***

– რა თქმა უნდა, საქმე საიდუმლო არ არის. არ მახსენდება, ადრე გაუთქმელობაზე ვინმეს მოეწეროს ხელი. ამ ფორმას ალბათ ძალიან იშვიათად იყენებენ. თუმცა ამგვარი პროცესის დახურვაც ჩვენ პრაქტიკაში არასოდეს გვქონია.

***– ვის აწყობდა ეს დუმილი და საზოგადოების ინტერესის დაძაბვა?***

– არ ვიცი, ფაქტია, რომ დიდი შიდა ომები მიმდინარეობს.

***– საპატრიარქოს გულისხმობთ?***

– მეტ დეტალზე ვერ ვისაუბრებ, დაველოდები განაჩენს როდის გადმომიგზავნიან და მერე უფრო დეტალურად განვიხილოთ.

***– როგორ ფიქრობთ, ეს საქმე მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიაში შიდა დაპირისპირების საჯაროზე გამოტანაა თუ საზოგადოებაში ამ ეკლესიის დისკრედიტაციას ემსახურება?***

– ცოტა ხანში უფრო ნათლად გამოჩნდება, რაც ხდება. საინტერესოა, რომ საპატრიარქოც ითხოვდა სასამართლო პროცესის გასაჯაროებას და ეს არ გაითვალისწინეს.



***– თავიდან პრემიერის განცხადებამ, რომ ერი უბედურებას გადარჩა, ხომ არ განაპირობა მომდევნო პროცესები განაჩენის ჩათვლით?***

– ჩემი აზრით, ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებმა ამ პროცესზე გავლენა მოახდინა.

***– უმაღლეს სასამართლოში ეს ფაქტორი გავლენას ვერ მოახდენს?***

– არ ვიცი, მართლა ვერაფერს გეტყვით.

# მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი და პოროშენკო მოემზადონ“

## რა სცენარს ამზადებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი

შორენა მარსაგიშვილი

**მოქალაქეობაწარკვეთილმა სააკაშვილმა თუ არ გადაიფიქრა, ამ კვირის ბოლოს ის უკრაინაში აპირებს დაბრუნებას. დაბრუნების თარიღი მან რამდენიმე კვირის წინ დააანონსა. იქედან მოყოლებული, ის პოროშენკოს ხელისუფლებას ლამის ყოველდღე ახსენებს, რომ უკრაინაში დაბრუნებას 10 სექტემბერს აპირებს.**

მისი დაბრუნებისთვის მისი მომხრეებიც და ხელისუფლებაც ერთნაირად ემზადებიან. გავრცელებული ინფორმაციით, საზღვარზე მას უკრაინის პატრიარქი უნდა დახვდეს.

ნაპრეზიდენტალი ამ დროისთვის ბრიუსელშია და ევროპელ პოლიტიკოსებს ხვდება. ევროპის სახალხო პარტიამ ის პოლიტდევნილად შერაცხა და სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

სააკაშვილი ამბობს, რომ მას უკრაინაშიც ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. მხარდამჭერების სიუხვის მიუხედავად, არ გამორიცხავს, რომ რაიმე პროვოკაცია მოუწყონ.

ამბობს, რომ გეგმებს ვერაფერი შეაცვლევინებს და მოვლენების ნებისმიერი სცენარით



განვითარებისთვის მზად არის.

თავის განცხადებაში ის საქართველოს ხელისუფლებაზეც საუბრობს და ივანიშვილს აფრთხილებს. მისი თანაპარტიელები ამბობენ, რომ ის საქართველოშიც დაბრუნდება.

– ჩვენ ვართ ევროპის ცენტრში, ბრიუსელში. ევროპის მთავარ საპარლამენტო ორგანოში. დააკვირდით მარჯვნივ, მარცხნივ, ვინმე ბორკილებს მადებს? მიჭერს? ვინმე სერიოზულად იღებს მაგათ ბრალდებებს? ეს არის ორლობის, ჭორვილის ბრალდებები, რომელიც უკავშირდება კოსტიუმებს, გასვენებებში მიტანილ ყვავილებს, რასაც ეს ხალხი ყველა აკეთებს დღეში ასჯერ და ამაზე, რომ ამათ უთხრა, ვიღაცა ვიღაცას იჭერს, მით უმეტეს, ყოფილ პრეზიდენტს, შემოგხედავენ, როგორც გიჟს და ავადმყოფს...

პირველი გეგმა დღევანდელი უკრაინის ოლიგარქიული მმართველობის არის, რომ არ შემიშვან. რა თქმა უნდა, სარეზერვო გეგმა არის დაჭერა, მოსპობა, განადგურება... ყველაფერი, მაგრამ მე არ მეშინია. მაგათ უნდა ეშინოდეთ ჩვენი, ჩემი კი არა, თავისივე ხალხის. ქართველი ხალხის და უკრაინელი ხალხის.

მე ვარ ყველანაირი სცენარისთვის მზად, ჯობია, ივანიშვილი მოემზადოს ამ სცენარისთვის. მას აქვს პრობლემები ამ სცენარში, თორემ მე ყველაფრისთვის მზად ვარ. მე მზად ვარ, ბოლომდე დავიცვა ჩემი პოზიციები. კარგად მოემზადონ და დამელოდონ, – აცხადებს სააკაშვილი.

მის ყოფილ თანაპარტიელებს ანუ „ევროპულ საქართველოდ“ ნაკურთხ ნაციონალებს, სააკაშვილის დაანონსებული დაბრუნების არ სჯერათ.

ისინი იხსენებენ შარშან მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს. მაშინ სააკაშვილი უკრაინაში ჯერ კიდევ ლაღად გრძნობდა თავს. ნაპრეზიდენტალმა რამდენჯერმე თქვა, რომ საქართველოში 8 ოქტომბერს აპირებდა ჩამოსვლას. იმ დღეს აქ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა. მას შარშან სამშობლოში დაბრუნების მცდელობაც კი არ ჰქონია.

სანამ „ევროპული საქართველო“ ყოფილი ლიდერის გმობაშია, ყოფილი დეპუტატი დავით საყვარელიძე სააკაშვილის დასახვედრად ემზადება. ამბობს, რომ უკრაინის ხელისუფლებამ პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე სამხედრო ტექნიკა განათავსა და ბატალიონი „აზოვიც“ გადაისროლა.

მანვე კრაკოვეცთან სამხედრო ტექნიკის და მავთულხლართების გავლების ამსახველი ვიდეომასალა ფეისბუქზე გამოაქვეყნა.

საყვარელიძის გავრცელებული ინფორმაცია „აზოვმა“ კატეგორიულად უარყო.

– ეს ინფორმაცია ტყუილია. „აზოვი“ არასოდეს ტოვებს ანტიტერორისტული ოპერაციის ზონას, – ნათქვამია განცხადებაში.

# ირაკლი სესიაშვილი ოთარ კახიძეს: „გირჩევთ, მიბრძანდეთ კრიზისების საბჭოში, გაერკვიეთ მის ფუნქციებში“



საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი „ევროპული საქართველოს“ წევრ ოთარ კახიძეს კრიზისების საბჭოში მისვლისკენ და ფუნქციების გაცნობისკენ მოუწოდებს. როგორც სესიაშვილმა საპარლამენტო სესიაზე განაცხადა, ოთარ კახიძის კრიტიკა კრიზისების საბჭოსთან მიმართებაში, ხანძრების სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მიუღებელია.

– ბატონო ოთარ, გისმენდით და მართლაც ცდილობთ, რომ იყოთ კრიტიკული, თუმცა რამდენად გამოგდით, ეს მეორე საკითხია. პრემიერმინისტრის ხელმძღვანელობით მაქსიმალურად იყო მობილიზებული ჩვენი ქვეყნის რესურსები იმისთვის, რომ მართლაც საშიშ ბუნებრივ გამოწვევას გავმკლავებოდით და მიუხედავად ამისა, თქვენ უსაფუძვლო კრიტიკით ცდილობთ, რომ დააკნინოთ ის სახელმწიფო სტრუქტურები, ინსტრუმენტები, რომლებიც ოფიციალურად არიან ამ ქვეყანაში მსგავსი ტიპის კრიზისების მართვის დასაძლევად.

ჩემი რჩევაა, ბატონო ოთარ, რომ გაერკვიოთ კრიზისების საბჭოს ფუნქციებში, მათ ინსტრუქციებში, იმ გეგმებში, რომელიც ამ უწყებას გააჩნია და მეტსაც გირჩევთ, იქნებ ერთხელ კეთილი ინებოთ და მიბრძანდეთ კრიზისების საბჭოში, დეპუტატი ხართ და გაქვთ ამის უფლება. გაერკვიეთ ფუნქციებში, ცოტა კვალიფიკაციაზეც იზრუნეთ და შემდეგ კრიტიკას სიამოვნებით მივიღებთ, – მიმართა სესიაშვილმა კახიძეს.

მისივე თქმით, კრიზისების საბჭოს კუთხით ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა ყალიბდება.

– ამ საბჭოს ჩამოყალიბების პროცესში პირველივე დღიდან ჩართული ვიყავი. შესაბამისად, მაქვს პატივი გითხრათ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო სისტემა ყალიბდება. რა თქმა უნდა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია ამ მხრივ. ბრი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ფინანსთა სამინისტრომ 3 თვით გასცა ნახევარი მილიარდი ლარის სესხი“

შორენა მარსაგიშვილი

ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილს პარლამენტში იბარებენ. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი რომან გოცირიძე აცხადებს, რომ ლარის გაუფასურების არავითარი ფუნდამენტური საფუძველი საქართველოში არ არსებობს. მისი თქმით, ამ ამბავში ძაღლის თავი ფინანსთა სამინისტროს ეზოშია დამარხული.
რა წვლილი მიუძღვის ლარის დაცემაში ქუმსიშვილის უწყებას, ვინ გადაწყვიტა 500 მილიონის გასესხება? – ამის შესახებ დეპუტატი რომან გოცირიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**რომან გოცირიძე;**

– დოლარი დასუსტდა თითქმის ყველა ვალუტასთან მიმართებაში, მათ შორის ჩვენს რეგიონში. სავალუტო ნაკადების ცვლილება არის დადებითი როგორც ტურიზმის, ასევე საგარეო ვაჭრობის მხრივ. ბუნებრივია, იბადება კითხვა, მაშინ რა ხდება, რატომ დაიწყო ლარმა გაუფასურება? ძაღლის თავი დამარხულია ფინანსთა სამინისტროს ეზოში, თანაც ისეა დამარხული, რომ მთელი თავი ძალიან კარგად მოჩანს. ლარი გააუფასურა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

ამ უწყებამ ივლისის თვეში დაიწყო აუქციონები. ყველას ეგონა, რომ ეს იყო ის აუქციონები, სადაც ფულს სესხულობენ, ოღონდ ეს აუქციონები ტარდება ეროვნულ ბანკში. სამწუხაროდ, არავინ არ მიაქცია იმას ყურადღება, რომ სამინისტრომ შემოიღო სერვისი, დაახლოებით ისეთი, როგორიც აქვს ეროვნულ ბანკს. ამას რეფინანსირების აუქციონი ჰქვია. კომერციული ბანკები ამ გზით იღებენ ეროვნული ბანკისგან სესხებს. ეს სესხები იყო ხოლმე ერთკვირიანი.

ფინანსთა სამინისტრომ რატომღაც გამოაცხადა აუქციონი და კომერციული ბანკებისთვის დაიწყო ფულის გასესხება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქუმსიშვილის უწყებამ მევახშეობა



დაიწყო – ფულის გაპროცენტება მიდის.

***– რა ფულს აპროცენტებენ?***

– ეს ფული არის ბიუჯეტის ნაშთები. დროთა განმავლობაში ბიუჯეტში გროვდება ნაშთები, რომლებიც შემდეგ ნელ-ნელა და არა ერთბაშად იხარჯება საბიუჯეტო მუხლების მიხედვით. ეს ნაშთები ხან კლებულობს და ხან იმატებს. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს მთავრობა საბიუჯეტო ხარჯების გაწევას.

ახლა ისე მოხდა, რომ ფინანსთა სამინისტროს ეს ნაშთები გაეზარდა. უცბად მოიფიქრეს, მოდი იმ ფულს, რომელიც ხაზინის ანგარიშზე დევს, გავასესხებ. ეს თითქოს იმ მიზნით გააკეთეს, რომ ზედმეტი ფულის ეკონომიკაში გაშვებით მოახდენდნენ მის სტიმულირებას.

ამ მეთოდის გამოყენება სასურველი არ არის, ის რისკებს შეიცავს, მაგრამ მას ხანდახან იყენებენ, გააჩნია, მისი გამოყენების მომენტში ქვეყანას რა პრიორიტეტები აქვს. დღეს საქართველოს მთავარი პრიორიტეტი ზედმეტი ფულის ჩადებით ეკონომიკის გამოცოცხლება არ




## რომან გოცირიძე: „გვითხრან, ვის თავში დაიბადა ეს მავნე მექანიზმი“

გახლავთ. ქვეყნის მთავარი პრობლემა ლარის და ფასების სტაბილურობაა.

4 წელიწადი ლარი მუდმივ მერყეობას განიცდის და ფასებიც მუდმივად იზრდება. ამიტომ ეკონომიკის სტიმულირება პირველ რიგში მაკროეკონომიკური, ლარის და ფასების სტაბილურობით უნდა მოხდეს. კომერციული ბანკებისთვის ფულის მიცემით შედეგს ვერ მივიღებთ.

***– ფინანსთა სამინისტროს კანონით აქვს იმის უფლება, რომ კომერციულ ბანკებს ფული ასესხოს?***

– 2014 წელს ნოდარ ხადურმა სისულელე დაამკვიდრა – ფინანსთა სამინისტრო კომერციული ბანკებისგან ფულს სესხულობდა. ამის უფლება უწყებას ბიუჯეტის შესახებ კანონით ჰქონდა.

ახლა ქუმსიშვილის უწყებამ, როგორც უკვე ვთქვი, შემოიღო სააუქციონო სისტემა და დაიწყეს აუქციონის წესით ფულის გასესხება კომერციულ ბანკებზე – ვინც მეტს გადაიხდის, იმას აძლევენ სესხს.

2 თვის განმავლობაში მთავრობამ კომერციულ ბანკებს ასესხა ნახევარი მილიარდი ლარი. სულ 10 აუქციონი ჩატარდა. ბოლო აუქციონი 5 სექტემბერს შედგა. მთავრობა ხედავს, რომ ლარი უფასურდება, მაგრამ ფულის გასესხებაზე უარს არ ამბობს, ჩნდება ეჭვი, რომ მთავრობასა და კომერციულ ბანკებს შორის არის გარიგება,



ისინი ღებულობენ იაფ რესურსს.

ამ დროს ეროვნულმა ბანკმა სესხების გაცემა 200 მილიონით შეამცირა, დაინახა რა ინფლაციის საშიშროება. ერთი მხრივ, ეროვნული ბანკი აკეთებდა საქმეს, მთავრობა კი აფუჭებდა.

ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება გახლავთ უპრეცედენტო. უწყებამ 3 თვით გასცა ნახევარი მილიარდი სესხი. კიდევ უფრო ხანგრძლივი ვადით არის გაცემული 135 მილიონი. მთლიანად ფინანსთა სამინისტროს კომერციულ ბანკებზე 635 მილიონი ლარი აქვს გასესხებული.

635 მილიონი მიმოქცევაში არსებული ლარის 9%-ია. ამხელა თანხის გასესხება არის დაუშვებელი. სწორედ ამან გამოიწვია ლარის გაუფასურება.

ვინ მოიგონა ეს უგუნური წესი? თქვენ ყველამ იცით, რომ ფინანსთა სამინისტრო კომერციული ბანკებიდან აქეთ იღებს სესხს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად. ვის მოუვიდა აზრად, რომ ბიუჯეტის ნაშთებით დაიწყოს მევახშეობა, ფულის გაპროცენტება? ფინანსთა სამინისტრომ, მთავრობამ უნდა აგოს ამაზე პასუხი. გვითხრან, ვის თავში დაიბადა ეს მავნე მექანიზმი.

# ნინო ბურჯანაძე: „ყოველ არჩევნებზე იძახიან, სააკაშვილი მოდისო“

– „მგელი, მგელი მოდისო“ არ იყოს, ყოველ არჩევნებზე გვეძახიან, რომ სააკაშვილი მოდისო, – ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ 6 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილს „ქართული ოცნება“ ადგილობრივი არჩევნების წინ ხალხის დასაშანტაჟებლად იყენებს.

– სამწუხაროდ, საქართველოში „ქართული ოცნების“ მხრიდან გრძელდება მოსახლეობის დაცინვა და ხალხის მასხრად აგდება, კომედია და ადამიანების ნერვების მოშლა. კიდევ ერთხელ აღმოჩნდა და დადასტურდა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში „ქართული ოცნება“ ჩვენ აშკარად და ურცხვად გვატყუებდა. ყველას ძალიან კარგად გახსოვთ პრემიერ-მინისტრების, იუსტიციის მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარეების და უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებები წლების განმავლობაში იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა საქართველოს ხელისუფლებას გადაცემული ჰქონდა მოთხოვნა სააკაშვილის ძებნასთან და ექსტრადირებასთან დაკავშირებით.

აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ახლა საქართველოს ხელისუფლებამ თავისი მზაობა და მოთხოვნა სააკაშვილის ექსტრადირებასთან დაკავშირებით გაუგზავნა უკრაინის ხელისუფლებას. საქმე გვქონდა „ქართული ოცნების“ ტყუილებთან, საქმე გვქონდა რეალურად გარიგებასთან და ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციასთან. საქმე გვქონდა იმასთან, რომ მოსახლეობის მოტყუების ხარჯზე, ხალხი ყველა არჩევნების დროს დაეშანტაჟებინათ, სააკაშვილი გამოეყენებინათ, როგორც საფრთხობელა და ადამიანები დაეყენებინათ არჩევანის წინაშე: ან დანაშაულებრივი ნაციონალური მოძრაობა, ან უმაქნისი „ქართული ოცნება“.

„მგელი, მგელი მოდისო“ არ იყოს, ყოველ არჩევნებზე გვეძახიან, რომ სააკაშვილი მოდის. მოვიდეს და ჩასვას „ქართულმა ოცნებამ“ ციხეში, მაგრამ „ქართული ოცნება“ მის ციხეში ჩასმას არ აპირებს. არც არავითარი სურვილი აქვთ, რომ სააკაშვილი საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდეს, თუნდაც მართლმსაჯულებისათვის წარდგენის მიზნით, – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე განცხადებით, „ქართულ ოცნებასთან“ გარიგებით, ნაციონალურმა მოძრაობამ თავი გადაირ-



ჩინა და მთავარ ოპოზიციურ ძალად დარჩა.

– „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილი ადგილობრივი არჩევნების წინ კვლავ გაახსენდა იმისთვის, რომ ისევ სატყუარა იყოს ხალხისათვის, ისევ მოატყუოს და დააშანტაჟოს ხალხი, რომ თუ არ აირჩევენ „ქართულ ოცნებას“, მობრუნდება ნაციონალური მოძრაობა. ნაციონალური მოძრაობა მობრუნდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოსახლეობა ახლაც დაბრმავდება „ქართული ოცნების“ ტყუილებით, ბიძინა ივანიშვილის მილიარდებით და კვლავ „ქართულ ოცნებას“ მისცემს ხმას.

მე მინდა მოვუწოდო ქართველ საზოგადოებას, გამოფხიზლდეს ქვეყანა და კარგად დაინახოს, ყველა არჩევნების წინ ხელისუფლება იყენებს ისეთ თემებს, რომელიც არის ძალიან მტკივნეული ადამიანებისათვის. ყველა არჩევნების წინ ხელისუფლებას ახსენდება სააკაშვილი და ვითომდა სამართლიანობის აღდგენა, ოღონდ არჩევნების შემდეგ ეს თემები დავიწყებას მიეცემა. მე იმედი მინდა ვიქონიო, რომ ამჯერად მაინც მოსახლეობა გონიერების თვალით შეხედავს არჩევნებს და არ წამოეგება ამ პროვოკაციებს, – განაცხადა ბურჯანაძემ.

# გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება აღმოჩნდა პოლიტიკურ ბუნკერში“

– ხელისუფლება აღმოჩნდა პოლიტიკურ ბუნკერში და ძალიან უხარისხოდ ცდილობს, რომ ცუდი თამაშის პირობებშიც სახე შეინარჩუნოს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ექსპერტმა გია ხუხაშვილმა არასამთავრობო სექტორის მიმართ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის შეთავაზებაზე კომენტირებისას განუცხადა.

– ხელისუფლება, ყველაფერთან ერთად, თავისი ინფანტილური ბუნებიდან გამომდინარე, ძალიან უხარისხოდ ცდილობს, რომ ცუდი თამაშის პირობებშიც სახე შეინარჩუნოს და აბსოლუტურად უშინაარსო წინადადებებს აყენებს. მე იმაშიც ეჭვი მეპარება, თვითონ ესმით თუ არა, რომ სისულელეს ამბობენ, მაგრამ ამბობენ იმისთვის, რომ ითამაშონ თითქოს კონსტრუქციული როლი.

იმ ფონზე, როდესაც არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილება ორი მოსმენით მიღებული პროექტის მესამე მოსმენით მიღების თაობაზე, საუბარი იმაზე, რომ მოდით, დაესწარით განხილვებს და რაღაცები თქვით, ძალიან სასაცილოა. ყველაფერთან ერთად, საოცარი არაკომპეტენტურობა დევს ამ რიტორიკაში ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. მარტივი კითხვაა, რატომ უნდა ჩავერთოთ, თუ გადაწყვეტილება მიღებული გაქვს? – პასუხი არ არსებობს ანუ მათი რიტორიკა უკვე ლოგიკის ფარგლებს სცდება და ორიენტირებულია ინფანტილურ ქმედებებზე და მეტი არაფერზე, – განაცხადა ხუხაშვილმა.

მისივე თქმით, სამწუხაროდ, ხელისუფლება აღმოჩნდა პოლიტიკურ ბუნკერში, არა ჰყავს პარტნიორი და ჯიუტად ასრულებს თავის ამოცანას, რომელიც ძალაუფლების გახანგრძლივებაში მდგომარეობს.

– მათ არ ჰყავთ პარტნიორები არც პოლიტიკურ ოპოზიციაში, არც სამოქალაქო საზოგადოებაში, არც არც ერთ სოციალურ ჯგუფში და ასე იქცევიან, ამას უკვე შევეგუეთ. ზუსტად ასე იქცეოდა სააკაშვილიც. დღევანდელმა ხელისუფლებამ ყველა-



ფერი ცუდი მემკვიდრეობით გადმოიღო სააკაშვილისგან. მათ შორის გენეტიკური კავშირი თითქოს არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ წამხედურობა იმდენად ძლიერია, რომ მათი მთავარი ამოცანაა, სააკაშვილის ოცნებები შეასრულონ, როგორც ის მოქმედებდა კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებით და ა.შ... უბრალოდ, ეს კონსტიტუციაც ისევე არ იქნება სიცოცხლისუნარიანი, როგორც წინა და კიდევ ერთხელ შეიცვლება, არაფერი ტრაგედია ამაში არ არის, თუმცა წლები იკარგება და ქვეყანა ვერ ვითარდება, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძის თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებებზე მორიგი დისკუსია და დებატები საშემოდგომო სესიის ფარგლებში გაიმართება და „სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო სექტორს საშუალება ექნება, თვალი მიადევნონ ამ პროცესს და მონაწილეობა მიიღონ მესამე მოსმენის ფარგლებში გამართულ დისკუსიაში“.

# გიორგი ჩიტაური: „წყლის ტარიფის გაორმაგება იგეგმება“

## „მალე კომუნალურების გადახდა განვადებით მოგვიწევს“



ლეიბორისტული პარტიის ინფორმაციით, თბილისში წყლის ტარიფის გაზრდა იგეგმება. მათი თქმით, წყლის მომარაგების კომპანიამ სემეკში შეიტანა განაცხადი და ითხოვს წყლის ტარიფის გაორმაგებას.

პარტიის წარმომადგენლებმა გუშინ, 6 სექტემბერს, ტარიფის გაზრდის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაც გამართეს. თუ ტარიფი გაიზრდება, ისინი ხელისუფლებას მშიერი ხალხის ბუნტს ჰპირდებიან.

რატომ არის დამნაშავე მოსახლეობა ტარიფების გაზრდაში, რატომ უფასურდება ლარი, რას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი გიორგი ჩიტაური ესაუბრება.

შორენა მარსაგიშვილი



**გიორგი ჩიტაური:**

– ჩვენმა პარტიამ ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში ივარაუდა, რომ გაზის და დენის ტარიფების შემდეგ, წყლის ტარიფის გაზრდაც მოხდებოდა. ეს ხელისუფლება რომ უნამუსო იყო, ვიცოდით, მაგრამ ასეთი უნამუსო და ღორმუცელა თუ იყო, არ მეგონა. წყლის მომარაგების კომპანია წყალზე ტარიფის გაორმაგებას ითხოვს.

ერთი წუთით მაინც წარმოიდგინეთ რა მოხდება, წყლის ტარიფი რომ გაორმაგდეს. მოსახლეობას ამჟამინდელი ტარიფის გადახდაც უჭირს და გაძვირების შემთხვევაში გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდება. როგორც ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი გიორგი გუგავა აცხადებს. მალე ალბათ კრედიტით და პროცენტებით მოგვიწევს წყლის ტარიფის გადახდა, სხვა შემთხვევაში, მოსახლეობა დარჩება ამ სასიცოცხლო რესურსის გარეშე.

***– თქვენი პარტიის კიდევ ერთმა წევრმა ბეჟან ნათელაშვილმა ხუმრობით ივარაუდა, რომ წყლის ტარიფის გაზრდა ხანძრებს უკავშირდება. ვარაუდობს, რომ ხანძრების ჩაქრობისას წყლის გადახარჯვა მოუვიდათ და ტარიფის გაზრდა ამიტომ უნდათ.***

– ბეჟანი მაგარი კაცია, მაგრამ მის მოსაზრებას ვერ გავიზიარებ იმასთან დაკავშირებით, რომ წყლის გადახარჯვასთან გვაქვს ადგილი. ეგენი ისეთი წუწურაქები არიან, იანვარში თოვლს არ მოგცემენ და ამ თაკარა ზაფხულში წყალს გაიმეტებენ? წყალი რომ არ გაიმეტეს, ამიტომაც წალეკა ხანძრებმა.

წყალს რომ ვერ იმეტებენ, ამაზე თუშეთის მაგალითიც მეტყველებს. იქაურები იხვეწებიან, წყალს თუ მოგვაშველებთ, ხანძრის ჩაქრობას შევძლებთო და ესენი წყალს არ აწვდიან.

ტარიფები იმიტომ იზრდება, რომ ამათი მადა ვერაფრით დაკმაყოფილდა. ხალხი ამას თუ გაატარებს, მალე კიდევ უფრო გააძვირებენ. და საერთოდ, ეს გაძვირებები მოსახლეობის ბრალია.

***– მოსახლეობა რა შუაშია?***

– შუაში არ არის, თავშია. წამოწოლილები არიან სახლში და სამზარეულოში აპროტესტებენ კომუნალურების გაძვირებას. ხელისუფლებამ კარგად შეისწავლა ხალხის ბუნება. იციან, რომ სოციალური მოთხოვნებით არავინ გამოვა და ამით სარგებელს ნახულობენ.

ვთქვათ, მოსახლეობას აქციის ორგანიზების გაკეთება უჭირს, მაგრამ ჩვენმა პარტიამ 5 სექტემბერს დააანონსა აქცია. 6 სექტემბერს გამართულ აქციაზე არავინ არ მოვიდა. არადა მთელი თბილისი თუ არა, ნახევარი მაინც უნდა გამოსულიყო ამ აქციაზე.

ერთი წუთით მაინც წარმოვიდგინოთ, რომ წყლის ტარიფის გაორმაგებაზე დაეწყოთ საუბარი ლონდონში ან პარიზში. იქაურობას გადაატრიალებდნენ. ჩვენთან კიდევ სახლებში სხედან. გარეთ თუ არ გამოვლენ, უარეს შედეგს მიიღებენ. მერე მართლა მოგვიწევს კომუნალურების გადახდა კრედიტით.

6 სექტემბერს აქციაზე რამდენიმე ათასი კაცი მაინც რომ გამოსულიყო, ესენი თავიანთ მოთხოვნას უკან წაიღებდნენ.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ასე იქნებოდა? საქართველოში აქციებს სერიოზულად აღარც კი აღიქვამენ.***

– ხშირად ისეთ თემებზე ატარებენ აქციებს, რომ მათი სერიოზულად აღქმა შეუძლებელია. სოციალური მოთხოვნებით გამართული აქცია ხელისუფლებას შეაფუცხუნებდა და ცოტა ხნით მადასაც დაუკარგავდა.

ხალხი მხართეძოზეა წამოწოლილი, მაგრამ ქვითრები რომ მიუვათ და საჭმლისთვის ფული აღარ დარჩებათ, მერე გამოვლენ გარეთ. საქართველოში მშიერი ადამიანების ბუნტი გარდაუვალია. აქ აღარაფერი აღარ გაიაფდება, ყველაფერი გაძვირებისკენ მიდის.

კომუნალურებზე ტარიფების მატება ყველაფერს გააძვირებს. მცირე და საშუალო ბიზნესი მთლიანად ჩაკვდება. ამას ლარის გაუფასურებაც ემატება. ხალხი შიმშილობისთვის არის განწირული. პენსიონერებმა შეიძლება ცარიელი პურიც ვერ იყიდონ. სამაგიეროდ, ხელისუფლებაა ყელამდე გამაძღარი, პრემია-დანამატებს არ იკლებენ.

***– იქნება იმიტომ იწერენ ამდენ პრემია-დანამატებს, რომ კუთვნილი ჯამაგირი არ ჰყოფნით საწყლებს.***

– ეგენი რომ მიუშვა, მთელი ბიუჯეტი არ ეყოფათ, პრინციპში, არც ჰყოფნით და ხალხის გაძარცვაზეც გადავიდნენ. ლარის კურსიც შეგნებულად გააქციეს. უნდათ, რომ რაც შეიძლება მეტი ფული ამოიღონ. ისე დარბის ეს ლარის კურსი, დაძინების მეშინია.

***– დაძინების რატომ გეშინიათ?***

– დაიძინებ, 2.45-ია ლარის კურსი, გაიღვიძებ – 2.49. მერე ჩათვლემ, გაიღვიძებ და კურსი უკვე 2.54-ია.

# ოკუპირებული აფხაზეთის სასამართლო სკოლებსა და ბაღებს ასხვისებს

## ნარკოტიკების 95% აფხაზეთში რუსეთიდან შედის

ცოტა ხნის წინ, აფხაზეთის ხელმძღვანელობას ოპონენტებმა სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს. შეკრებილმა პოლიტიკოსებმა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ ხაჯიმბას ხელისუფლება ვერ უმკლავდება შექმნილ სერიოზულ პრობლემებს და არ აღიარებს აფხაზეთში შექმნილ კრიზისს, ამიტომ ანტიკრიზისული გეგმა თავად საზოგადოებამ უნდა შეიმუშაოს. ოპოზიციური ბლოკის წევრებმა, რომელში პოლიტიკური ორგანიზაცია „ამცახარაც“ შედის, დასვეს სასამართლოს და ძალოვანი სტრუქტურების რეფორმირების, ნარკობიზნესთან ბრძოლის გაძლიერების საკითხი.

მარიამ მჭედლიშვილი



აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ბოლო დღეებში გადადგმული ნაბიჯები სწორედ იმ თემებს უკავშირდება, რომელიც ოპონენტებმა წამოსწიეს. როგორც ჩანს, დე ფაქტო პრეზიდენტ ხაჯიმბას მოსალოდნელი სახალხო პროტესტი აშინებს. ამ პროტესტმა შეიძლება მას თანამდებობა დააკარგვინოს.

რაულ ხაჯიმბამ სასამართლოს წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ სასამართლო უნდა მოქმედებდეს „სახელმწიფოს“ ინტერესების შესაბამისად.

– სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში მდგომარეობა იმგვარია, რომ გარკვეულ აღშფოთებას იწვევს. გადაწყვეტილებები, რომელიც სახელმწიფოს სახელით მიიღება, არ ასახავს მის ინტერესებს. კანონი მარტო უბრალო ადამიანებისთვის ან ჩინოსნებისთვის არ არსებობს, კანონის შესრულებისაგან მოსამართლეებიც არ არიან თავისუფალი, – აღნიშნა ხაჯიმბამ.

მისი თქმით, სასამართლო ორგანოები უნდა ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფოს და არა ცალკეული პიროვნებების ინტერესებით.

აფხაზეთში, სადაც ყველაფერს კლანები განაგებენ, სასამართლო ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას. აფხაზეთის სასამართლოში დიდი ხანია, განუკითხაობაა, მაგრამ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი აქამდე ამაზე არ შეწუხებულა.

სასამართლოს განაჩენების საფუძველზე აფხაზეთში ბავშვებს სკოლებსა და საბავშვო ბაღებს ართმევენ. ცოტა ხნის წინ სოხუმის ერთი სკოლის შენობა იჯარით გადასცეს კერძო პირს, რომელიც ამ შენობას არადანიშნულებისამებრ იყენებდა. ამის გამო ოფიციალურმა სტრუქტურებმა იჯარის შეთანხმება გააუქმეს. მოიჯარემ სასამართლოში იჩივლა და საქმე მოიგო.

ასევე მოიქცა სასამართლო ბიჭვინთის საბავშვო ბაღის შემთხვევაში. ეს ფაქტები ხალხისთვის ცნობილია.

– ვინ მოგცათ საბავშვო ბაღების იჯარით გაცემის უფლება, – ამ შეკითხვას დაგვიანებით ხაჯიმბაც სვამს.

აფხაზეთის საზოგადოების აღშფოთების მიზეზი ბოლო დროს დამნაშავეობის საგრძნობი ზრდაა. ამის გამო რესპუბლიკაში საკურორტო სეზონი ჩაიშალა. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირებასა და კრიმინოგენულ სიტუაციაზე აფხაზეთის საზოგადოებრივ პალატას მინისტრი ასლან კობახია ესაუბრა.

მან დაიჩივლა, რომ სამინისტროს ბევრი ქვედანაყოფი დაუკომპლექტებელია. ამის მიზეზი დაბალი ხელფასებია. ამასთან, ასლან კობახიამ აღნიშნა, რომ ასრულებს რაულ ხაჯიმბას დავალებას სამინისტროს ოპტიმიზაციის თაობაზე.

2011 წლამდე აფხაზეთში მილიციის შესანახად შემოღებული იყო სპეციალური გადასახადი, რომელიც გააუქმეს. შინაგან საქმეთა მინისტრი ამას შეცდომად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეს მოსაკრებელი უნდა აღდგეს:

– რუსეთის დახმარება, რომელსაც აფხაზეთის ძალოვანი სტრუქტურები იღებენ, მუდმივი ვერ იქნება. უნდა დავუბრუნდეთ საკუთარ დაფინანსებას, თუ ვსაუბრობთ დამოუკიდებელ სახელმწიფოზე.

კობახია პირობას დებს, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას აფხაზი სამართალდამცავები რუსებთან ერთად ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის საშუალებით შეებრძოლებიან.

მისი ინფორმაციით, აფხაზეთში ნარკოტიკების 95% რუსეთიდან შედის. ნარკოტრაფიკში ჩაბმული არიან აფხაზეთის ფარგლებს გარეთ, მაგალითად, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და სოჭში მცხოვრები აფხაზები, რომლებიც პროცესებს გარედან მართავენ.

# ირაკლი სესიაშვილი ოთარ კახიძეს: „გირჩევთ, მიბრძანდეთ კრიზისების საბჭოში, გაერკვიეთ მის ფუნქციებში“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ტანელი ექსპერტები ჩართულნი არიან და მაქსიმალურად გვიწევენ დახმარებას, ექსპერტიზას. თავად ბრიტანელების შეფასებით, ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც ანალოგია „კობრას“ ტიპის ბრიტანული მოდელის, თუმცა თავისი ეფექტური შესაძლებლობებით უფრო ეფექტურია. იმის ნაცვლად, რომ გვიხაროდეს და ყველამ ერთად ვიზრუნოთ ამ სისტემის რეპუტაციასა და მოქმედებაზე, უსაფუძვლოდ ხდება კრიტიკა, რაც მისასალმებელი არ არის, – განაცხადა სესიაშვილმა.

„ევროპული საქართველოს“ წევრმა ოთარ კახიძემ პარლამენტის სხდომაზე იმ პრობლემებზე ისაუბრა, რომელიც, მისი აზრით, საქართველოში გაჩენილი ხანძრების სალიკვიდაციო სამუშაოებში გამოიკვეთა.

ოთარ კახიძე ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მართვისა და კოორდინაციის დროს გამოვლენილ ხარვეზებს ასახელებს.

– ვინაიდან სამომავლოდაც არის მოსალოდნელი მსგავსი რამ ჩვენი რელიეფიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის ხარვეზი, რომელიც გამოვლინდა. ხარვეზი იყო მართვისა და კოორდინაციის დროს. ნამდვილად არ გვაქვს იმის თქმის საფუძველი, რომ ყველაფერი კარგად იყო კოორდინირებული. სახელმწიფოში არის კრიზისების მართვის არაეფექტური მექანიზმი, ბატონი ჯანელიძისა და ბატონი ჭიკაიძის ხელმძღვანელობით, რომლებმაც თქვეს, რომ მაშინ ჩაერთნენ სამუშაოებში, როცა კანონმდებლობამ მოითხოვა. ანუ, ისინი კანონმდებლობას უყურებდნენ, როცა ხანძარი მწვავდებოდა. ეს ხანძარი, რომელიც გაჩნდა ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში, მალევე იყო აღმოჩენილი, თუმცა რეაგირება დაგვიანდა, – განაცხადა კახიძემ.

# ირაკლი კოვზანაძე: „ლარის კურსის რყევა მოკლევადიანი ხასიათისაა“

— ლარის მკვეთრი გაუფასურების ფუნდამენტური, მაკროეკონომიკური საფუძვლები დღეს არ არსებობს, ანუ იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც დღეს გაგვაჩნია, საქართველოს ეკონომიკაში არსებული რეალობა და მიმდინარე პროცესები ლარის მკვეთრი დევალვაციის საფუძველს არ ქმნის, — განაცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ.

კოვზანაძის განმარტებით, საქართველოში მოქმედებს თავისუფალი გაცვლითი კურსის რეჟიმი, ლარის კურსს განსაზღვრავს ბაზარი, უფრო სწორედ კი, ბაზარზე ვალუტის მოთხოვნა-მიწოდება. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ მოძრაობა შეიძლება გვქონდეს ორივე მიმართულებით, როგორც გამყარების, ასევე გაუფასურების მიმართულებით.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვენ ვხედავდით ლარის გამყარების პროცესს. უკანასკნელი თვეების განმავლობაში რომ არ მომხდარიყო ლარის ზედმეტი გამყარება, ეროვნულმა ბანკმა შეიძინა 110 მლნ. აშშ დოლარი, გაზარდა სავალუტო რეზერვები და ხელი შეუწყო მონეტარული სტაბილურობის შენარჩუნებას ქვეყანაში.

— რაც შეეხება ლარის კურსის ბოლოდროინდელ გაუფასურებას, იგი შეიძლება მოლოდინებით და ფსიქოლოგიური ფაქტორებით ავხსნათ. საერთო ზოგადი მოლოდინი იყო, რომ ზაფხულში ლარი გამყარდებოდა, ხოლო სექტემბრიდან გაუფასურდებოდა. აგვისტოს ბოლოს, როდესაც კურსი ოდნავ გაუფასურდა, ეს გახდა სიგნალი მათთვის, ვინც აგვისტოში შედარებით დაბალ კურსს ელოდებოდა, რომ ეყიდათ უცხოური ვალუტა, რამაც მოთხოვნის ზრდა და კურსზე დამატებითი ზეწოლა გამოიწვია. მინდა გავიმეორო, რომ ლარის მკვეთრი დევალვაციის მაკროეკონომიკური საფუძვლები დღეის მდგომარეობით არ არსებობს. შესაბამისად, კურსის აღნიშნული რყევა დროებითი და მოკლევადიანი ხასიათისაა, — განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.



# ცოტნე ყავლაშვილი: „ლარი არის სტაბილურად ჯანსაღი და გაუფასურების საფრთხე არ არსებობს“

— მინდა, მოსახლეობას მოვუწოდო, ნუ აჰყვებიან სპეკულაციებს, განსაკუთრებით პოლიტიკოსების მხრიდან, ლარის კურსთან მიმართებაში, ვინაიდან ეკონომიკური ფაქტორები ლარის კურსის ფორმირებაზე რაც გავლენას ახდენს, არის სტაბილურად ჯანსაღი და გაუფასურების საფრთხე არ არსებობს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, სახაზინო სამსახურის უფროსმა, ცოტნე ყავლაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, კურსის მერყეობა, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში არსებობს, გარკვეულ ფსიქოლოგიურ მოვლენებთან არის დაკავშირებული.



— რაც შეეხება მოკლევადიან მერყეობას, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ვნახეთ ლარის კურსთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ეს მოლოდინების საკითხია. მოლოდინი იმის მიმართ, რომ მოსახლეობის გარკვეულ ფენაში არსებობს სტერეოტიპული მოლოდინი, რომ ვინაიდან აგვისტო არის ეკონომიკურად აქტიური თვე და ყველაზე მეტი ტურისტი შემოდის საქართველოში და მაღალია შემოსავლები, ასეთი მოლოდინი არსებობს, რომ ამ თვეში უნდა იყოს ყველაზე დაბალი კურსი. არის ფსიქოლოგიური მომენტი, როდესაც აგვისტოს შემდეგ ხალხის გარკვეული კატეგორია ეკონომიკურად გაუმართლებელ, არასწორი დასკვნებით კონვერტირებას ახორციელებს, რაც შემდეგ შესაძლებელია ასეთი პოლიტიკური სპეკულაციებით აჟიოტაჟში გადაიზარდოს და მოსახლეობა დაზარალდეს. საუბარია ისეთ პოლიტიკურ სპეკულაციებზე, როგორიც დღეს და წინა დღეებში გვესმოდა. ამიტომ მოვუწოდებ მოსახლეობას, რომ სპეკულაციებს, განსაკუთრებით, პოლიტიკოსების მხრიდან წამოსულ სპეკულაციებს ლარის კურსთან დაკავშირებით ნუ აჰყვებიან, — განაცხადა ცოტნე ყავლაშვილმა.

# „ეროვნულმა ბანკმა გაცილებით აგრესიულად უნდა იმუშაოს“

— ვფიქრობ, ეროვნულმა ბანკმა გაცილებით აგრესიულად უნდა იმუშაოს, — ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა.



მისი თქმით, ამ თემაზე უფრო მეტი განხილვა, ანალიზია საჭირო და არა პოლიტიკოსების მხრიდან განცხადებების კეთება.

ასეთი პერიოდები ჰქონია საქართველოს ვალუტას. ეს არ არის საქართველოსთვის დამახასიათებელი ფენომენი, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები განაპირობებს დოლარის მნიშვნელოვნად გაძლიერებას. ისეთი მდგომარეობაც გვქონია, რომ დოლარის აღმავლობა შეცვლილა დაღმასვლით და იმედი გვაქვს, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა ამას განაპირობებს, — აცხადებს გია ვოლსკი.

# „მორატორიუმი უცხოელებზე მიწების გაყიდვაზე ფაქტობრივად შეჩერებულია“

მორატორიუმი უცხოელებზე მიწების გაყიდვაზე ფაქტობრივად შეჩერებულია, რასაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონში შესატანი ცვლილება გულისხმობს, რომელიც პარლამენტართა ჯგუფმა მოამზადა.

აღნიშნული კანონპროექტის კომენტირება ეკონომისტ ვაჟა ბერიძეს ვთხოვეთ.

— მთავრობა ცუდ დღეშია. ხალხი, საზოგადოების უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უცხოელებზე გაყიდვის წინააღმდეგია. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება.

მთავრობა ორ ცეცხლშუაა მოქცეული. მან ევროგაერთიანების და სტრატეგიული პარტნიორების მიდგომებიც უნდა გაითვალისწინოს და საზოგადოებრივ აზრსაც გაუწიოს ანგარიში. თითქოსდა გამოსავალი მოიძებნა — მთავრობა ხალხს შეჰპირდა, რომ კონსტიტუციაში არ ასახავდა მიწაზე საკუთრების საკითხს და ეს დარეგულირდებოდა ცალკე კანონით, თუმცა ქართველი საზოგადოება არც ისე გულუბრყვილო აღმოჩნდა და მასობრივი აქციების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლება თითქოსდა დათანხმდა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აკრძალვას გარკვეული დათქმებით, რომელიც ინვესტიციების მოზიდვას აგრარულ სექტორში შესაძლებელს ხდის. მაგრამ ზეწოლა, ჩანს, გრძელდება. ამოქმედდა ბანკების ლობი, რომელსაც მთავრობაში სერიოზული პოზიციები აქვს, გადაიდგა პირველი ნაბიჯიც, მოიძებნა მოტივიც. კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ მორატორიუმი არ გავრცელდება კომერციულ ბანკებზე, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება საბანკო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში წარმოეშვებათ. კანონპროექტი გარკვეულწილად ბუნდოვანია და განმარტებებს საჭიროებს, ბუნდოვანია ამის თაობაზე გავრცელებული საინფორმაციო ცნობაც.

მთავარი, რაც ნათელია, ესაა, რომ ფაქტობრივად მორატორიუმი მიწის გაყიდვაზე შეჩერებულია და გარკვეული პირობების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება საქართველოს არამოქალაქეებისთვის საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო მიწების გადაცემა.

მთავრობას და პარლამენტს არასგზის არ სურთ ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, მაგალითად, ჩეხეთის, სადაც დიდხანს აკრძალული იყო უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვა, იმ მოტივით, რომ მეზობელი გერმანელები უფრო მდიდრები იყვნენ, ვიდრე ჩეხი ფერმერები და ასეთი მიდგომა წლების განმავლობაში გაგრძელდა. ლიტვის გამოცდილებაც უარყოფილია, სადაც 10 წლის განმავლობაში აკრძალული იყო უცხოელებზე მიწების მიყიდვა, ასე გახდა ლიტვა ევროკავშირის წევრი და დღესაც ამ პროცესს იქ სერიოზული დათქმები ახლავს. აღარაფერს ვიტყვი სხვა ქვეყნებზე და ჩვენს სამეზობლოზე. ყველგან ეს საკითხი ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე არის დარეგულირებული. პარადოქსია, მაგრამ ინდოელებს, რომლებიც ქართულ მიწებს ხალისით ყიდულობენ, თავიანთ ქვეყანაში უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა აკრძალული აქვთ. აი, ესე! — აღნიშნა ვაჟა ბერიძემ.



**კომერსანტი**

# რა შეზღუდვებისგან თავისუფლდებიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვისაგან კომერციული ბანკების გარდა, შესაძლოა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც გათავისუფლდნენ.

აღნიშნული წინადადება პარლამენტის ხუთი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე უმრავლესობის წევრების მხრიდან დაისვა, რაც სავარაუდოდ, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტში აისახება.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, აგრარულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტები პირველი მოსმენით, დაჩქარებული წესით იხილავენ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს, რომელიც დღესვე გავა სესიაზე.

საგაზაფხულო სესიის ბოლოს, პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, უცხოელებსა და უცხოურ კომპანიებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებასა და საკუთრებაში გადაცემაზე მორატორიუმი დაწესდა. პარლამენტის გადაწყვეტილებით, შესაბამისი საკანონმდებლო ნორმა საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებამდე შეჩერდა.



„ქართული ოცნების“ ექვსი დეპუტატის ხელმოწერით პარლამენტს წარედგინა პროექტი, რომლის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი შეზღუდვა კომერციულ ბანკებზე არ გავრცელდება. აღნიშნული შეზღუდვა ასევე არ გავრცელდება განსაკუთრებულ შემთხვევებზე, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

პროექტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შეძენის შეჩერების შესახებ დადგენილი მორატორიუმი არ გავრცელდება კომერციულ ბანკებზე, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება საბანკო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში წარმოეშობათ. ასეთ შემთხვევაში, კომერციულ ბანკებს წარმოეშობათ ვალდებულება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებიდან ორი წლის ვადაში ის შესაბამის უფლებამოსილ პირზე გაასხვისონ.

პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით ასევე გათვალისწინებულია მთავრობისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, მორატორიუმიდან გამონაკლისის დაშვებასთან დაკავშირებით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, დაინტერსებულმა პირმა შესაბამისი არგუმენტაციით უნდა მიმართოს დარგში პოლიტიკის განმახორციელებელ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებას, რომელიც საკითხის შესწავლის შემდგომ, საკითხს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მთავრობას წარუდგენს.

პროექტის ინიციატორები არიან დეპუტატები ანრი ოხანაშვილი, ეკა ბესელია, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, გურამ მაჭარაშვილი და ილია წულაია.

# ირაკლი კობახიძე: „გენერალური აუდიტორის კანდიდატურას 8 სექტემბერს დავასახელებ“

ირაკლი კობახიძე სახელმწიფო აუდიტის ხელმძღვანელის კანდიდატურას 8 სექტემბერს დაასახელებს. განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ პლენარულ სხდომაზე გააკეთა.



— კონსტიტუციის თანახმად, კანდიდატურის დასახელება პარლამენტის თავმჯდომარის პრეროგატივაა, ამიტომ გენერალური აუდიტის კანდიდატურას დავასახელებ. რაც შეეხება დამტკიცებას, გენერალური აუდიტორი თანამდებობაზე 20 სექტემბერს დამტკიცდება, — დასძინა კობახიძემ.

ირაკლი მექვაბიშვილი, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელად განიხილება, ამ დრომდე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მთავარი ბანკირის პოზიციას იკავებს.

თავად მექვაბიშვილი თემაზე განცხადებას არ აკეთებს და ამბობს, რომ „ეს არის პროცედურით პარლამენტის თავმჯდომარის პრეროგატივა. გააკეთოს ეს განცხადება, დაველოდოთ“.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს ლაშა თორდიას უფლებამოსილების ვადა 2017 წლის 25 ივლისს ამოეწურა და ამ დრომდე აუდიტის ხელმძღვანელის მოვალეობას ნინო ლომჯარია ასრულებს.

# კვერცხების სკანდალის გამო ევროკავშირში 250-ზე მეტ ფერმას წარმოება შეწყვეტილი აქვს

კვერცხების სკანდალი გრძელდება. ამ დროისთვის, ევროკავშირის 6 ქვეყანაში (ბელგია, ნიდერლანდები, გერმანია, საფრანგეთი, იტალია და უნგრეთი) 250-ზე მეტ ფერმას პროდუქციის წარმოება შეწყვეტილი აქვს. ევროკავშირის პრესსამსახურზე დაყრდნობით, ინფორმაციას „იმედინიუსი" ავრცელებს.

ჯანდაცვის საკითხებში ევროკომისარ ვიტენის ენდრიუკაიტისის თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევა-ძიება და მონიტორინგი გრძელდება. მისი განმარტებით, იმ ფერმებიდან, რომლებშიც ფიპროლინის შემცველობის მქონე კვერცხები აღმოაჩინეს, პროდუქცია შესაბამისმა სამსახურებმა სრულად გაანადგურეს.



კვერცხების სკანდალი ევროპაში 10 აგვისტოს აგორდა, როდესაც ნიდერლანდებში ორი პირი ინსექტიციდების გამოყენებისთვის დააკავეს. ჰოლანდიელმა სამართალდამცველებმა განაცხადეს, რომ დაკავებულები არიან კომპანიის დირექტორები, რომლებიც წარმოებისთვის სავარაუდოდ იყენებდნენ ფიპრონილს – ინსექტიციდურ საშუალებას, რომელიც ებრძვის მწერებს, ტკიპებს, ტილებს და ა.შ.

11 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ საკითხთან დაკავშირებით ევროკომისიამ 26 სექტემბერს საგანგებო შეხვედრა დანიშნა, რომელშიც მონაწილეობა ყველა დაინტერესებული ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენელს შეეძლება.

ფიპრონილის გამოყენება იკრძალება ფერმებში, სადაც ცხოველები და ფრინველებია. ტოქსიკოლოგის თქმით, ეს ნივთიერება იწვევს ღებინებას და თავბრუსხვევას.

# ლევან დავითაშვილი: „თხილის მოსავალი, შესაძლოა, 20–30%–ით შემცირდეს"



სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, შესაძლოა, თხილის მოსავალი 20-30%-ით ნაკლები იყოს წინა წლებთან შედარებით. ამის შესახებ დავითაშვილმა ჟურნალისტებს დღეს თხილის მე-4 ფორუმზე განუცხადა.

წელს გვქონდა ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევები კლიმატური ცვლილებების კუთხით. ბოლო ორი წელია ნედლეულთან დაკავშირებით არის პრობლემა. თხილის ინდუსტრიის ზრდა ეფუძნება ხარისხიან სანედლეულო ბაზას და სწორედ ამაზე გვქონდა საუბარი. ასევე ვიმსჯელეთ ქართული თხილის პერსპექტივაზე, – განაცხადა დავითაშვილმა.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, საქართველო აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის პროცესში ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება გაიზიარა, რადგან ეს ის ქვეყანაა, რომელსაც მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა ამ თვალსაზრისით, თუმცა პლანტაციების შეწამვლას ხელი უამინდობამ შეუშალა და ამიტომ, მინისტრი მიიჩნევს, რომ მოსავლის გადასარჩენად პრევენციული ღონისძიებების გატარება დაგვიანებული არ იყო.

მისივე თქმით, თუ თხილის მწარმოებლების სრული მობილიზება არ იქნება, მომავალ წლებში კარგი მოსავლის მიღება შეუძლებელი იქნება, სახელმწიფოს კი არ აქვს იმის რესურსი, რომ ზარალის მასობრივ კომპენსაციაზე ისაუბროს.

ფორუმზე ასევე თხილის ექსპორტიორთა ასოციაციის თავმჯდომარემ ალექსანდრე მოწერელიამ ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ თავად ფერმერები აქტიურად არ არიან ჩართულნი პრევენციულ ღონისძიებებში და ბევრმა მათგანმა არც იცის, როგორ მოუაროს თხილის ბაღს, თუმცა პრობლემა მხოლოდ ეს არ არის. მისი თქმით, დარგს სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მხარდაჭერა სჭირდება.

# იანვარ-აგვისტოში საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში 45,3 მლნ ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული

2017 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში ექსპორტირებულია 45,3 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 61%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 100,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 55%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი სამანიშვილის განცხადებით, ქართული ღვინის გაყიდვები გაიზარდა ევროკავშირის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, აშშ-ის და სხვა ბაზრების მიმართულებით.

– ღვინის ექსპორტმა 8 თვის მდგომარეობით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 61%-ით მოიმატა, 55%-ით გაიზარდა ღვინის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები. ქართული ღვინის გაყიდვები გაიზარდა ევროკავშირის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, აშშ-ის და სხვა ბაზრების მიმართულებით, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და მეღვინეობის დარგის კოორდინირებული საქმიანობისა და სწორად დაგეგმილი მარკეტინგული აქტივობების შედეგია, – განაცხადა გიორგი სამანიშვილმა.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი – 51% (5.098.091), რუსეთი – 94% (2.849.3063), უკრაინა – 42%(4.334.970), პოლონეთი – 19% (1.622.872), ლატვია – 25% (963.266), ბელარუსი – 35% (904.070), აშშ – 67% (286.496), გერმანია – 39% (256.672), ისრაელი – 232% (139.994), საფრანგეთი – 378% (95.530), აზერბაიჯანი – 170% (102.342) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა, ყაზახეთი და პოლონეთი.

ადგილწარმოშობის დასახელების მიხედვით ლიდერობს ღვინო „ქინძმარაული" – 7.752.470 ბოთლი, შემდეგ მოდის: „მუკუზანი" – 2.478.937, „წინანდალი" – 1.959.406, „ახაშენი" – 861.185, „ხვანჭკარა" – 451.034, „ტვიში" – 172.358, „ნაფარეული" – 121.986 და ა.შ.



ამასთან, მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 9.758.746 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 103%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 21,85 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი – მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 98%-ს აღწევს.

საანგარიშო პერიოდში მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 132.746 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 153% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 367.757 აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 85%-ს მიაღწია.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 165,34 მლნ აშშ დოლარს შეადგენს – ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 52% შეადგინა.

# 31.574 მომხმარებელს საპროცენტო განაკვეთი არ შეეცვლება

„საზოგადოება და ბანკებმა" ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები მიმოიხილა. 2017 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 3.1574 სესხია გაცემული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. შესაბამისად, მსესხებლებს საპროცენტო განაკვეთი არ შეეცვლებათ, რადგან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად 7,0 პროცენტზე დატოვა. დღესდღეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 1.391,5 მლნ ლარის მოცულობის სესხია გაცემული.



1 ივლისიდან 1 აგვისტომდე გაცემული სესხების რაოდენობა გაიზარდა 875-ით, ხოლო მთლიანი პორტფელი – 1.355,0 მილიონიდან 1.391,5 მილიონ ლარამდე.

3.1574 ხელშეკრულებიდან 15.167 სამომხმარებლო სესხია. მოცულობა კი 192,0 მილიონი ლარი. ლარში გაცემული სამომხმარებლო სესხის საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 1 აგვისტოსთვის 14.4% შეადგინა.

რაოდენობრივად მეორე ადგილზეა იპოთეკური ტიპის სესხები. რეფინანსირების განაკვეთზე 1 აგვისტოს მონაცემებით 1.1381 სესხია მიბმული, საშუალოდ 10,9%-ში. მთლიანი პორტფელი კი 468,2 მილიონი ლარია.

3.102 ხელშეკრულებაა გაფორმებული ბიზნესსესხების გასაცემად. მთლიანი პორტფელი 692,75 მილიონი ლარია. აქედან მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად ბანკებმა 143,4 მილიონი ლარი გასცეს, საშუალოდ 12,9%-ში. ხოლო მსხვილი ბიზნესი კი 1 აგვისტოს მონაცემებით 549,3 მილიონი ლარით დააკრედიტეს, საშუალო შეწონილ 11.9%-ში.

ყველაზე მცირე რაოდენობით გაცემულია რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ავტოსესხი. სულ 1 აგვისტოს მონაცემებით 275 ხელშეკრულებაა გაფორმებული. 4050 ათასი ლარი ბანკებმა საშუალოდ 14,04%-ში გაასესხეს.

ასევე გაცემულია 1.649 ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხი, რომელთა კონკრეტული მიზნობრიობა უცნობია. ამ სესხების მთლიანი მოცულობა 34,5 მილიონი ლარია.

ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები 1 აგვისტოს მდგომარეობით ლარში გაცემული მთლიანი საკრედიტო პორტფელის 17,5%-ია. მათ შორის ყველაზე მეტია ბიზნესსესხი, ხოლო ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი იპოთეკურ სესხებზეა.

ინფლაციის მაჩვენებელი 5.7%-ია, რაც ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღალია, თუმცა წლის ბოლომდე მოსალოდნელია ინფლაციის კიდევ უფრო შემცირება. ჩვენი აზრით, ლარის ბოლოდროინდელი გაუფასურების ეფექტი ინფლაციაზე არ იქნება მაღალი და სტაბილური გაცვლითი კურსის პირობებში არ არის მოსალოდნელი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება. სესხების ლარიზაციის მაჩვენებელი წლის დასაწყისიდან 65%-დან 58%-მდე შემცირდა, რისი ძირითადი იმპულსი სესხებზე არსებული რეგულაციებია.

„საზოგადოება და ბანკები" მიიჩნევს, რომ რეგულაციების პირობებში ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ლარის ფინანსური რესურსის არსებობა და შერბილებული მონეტარული პოლიტიკა დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

# რა ქონებას ფლობს მთავრობის კანცელარიის უფროსი მაია ცქიტიშვილი, რომელსაც პრემიერ-მინისტრზე მაღალი შემოსავალი აქვს

სახელმწიფო მოხელეების ხელფასების, დანამატებისა და პრემიების საკითხი მუდმივად განხილვის საგანია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მოხელეს მთავრობის მეთაურზე მეტი ანაზღაურებაც კი აქვს. ერთ-ერთი მათგანის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მინდია ჯანელიძის შესახებ „ბიზნესპრესნიუსი" უკვე წერდა. ჯანელიძის შემოსავალმა აღნიშნულ პოსტზე გასულ წელს 94.500 ლარი შეადგინა.

ქონებრივი დეკლარაციების თანახმად, გასულ წელს პრემიერ-მინისტრზე მეტი შემოსავალი ასევე მიიღო მთავრობის კანცელარიის უფროსმა მაია ცქიტიშვილმაც, რომლის შემოსავალიც აღნიშნულ პოსტზე 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით 94.500 ლარი იყო.

ცნობისთვის, პრემიერ კვირიკაშვილის შემოსავალმა წინა წელს 51.369,57 ლარი შეადგინა.

„ბიზნესპრესნიუსი" დაინტერესდა, რა ქონებას ფლობს მაია ცქიტიშვილი. 2017 წლის 30 იანვარს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის



თანახმად, მთავრობის კანცელარიის უფროსი ფლობს 182,80 კვადრატული მეტრი ფართობის ბინას თბილისში; ამავე მისამართზე მდებარე 14 კვ. მეტრის ავტოფარეხს; 1.528 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს კოჯორში; 407 კვ. მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლს ამავე მისამართზე და კოჯორში მდებარე 2.686 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს. მასვე ეკუთვნის მსუბუქი ავტომობილი Mitsubishi Pajero.

ამასთან, დეკლარაციის შევსების მომენტში ცქიტიშვილს ნაღდი ფულადი თანხის სახით 12.000 დოლარი ჰქონდა. ასევე, მთავრობის კანცელარიის უფროსი ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას შპს „თბილისის კომერციული ქონების" 75%-იანი წილის მფლობელიც იყო.

ცქიტიშვილის გასავალმა გასულ წელს შვილის სწავლის გადასახადის სახით, 5.400 დოლარი, ქონების გადასახადის სახით კი 3.299,19 ლარი შეადგინა.

მაია ცქიტიშვილს ჰყავს მეუღლე, შვილი და დედა. მეუღლე დავით ხატიაშვილი ფლობს „ლიბერთი ბანკის" 69.181 აქციას. მასვე დეკლარაციის შევსების მომენტში „საქართველოს ბანკის" მიმდინარე ანგარიშზე 8.996 დოლარი, საკრედიტოზე 9.999,63 დოლარი; ხოლო ნაღდი ფულადი თანხის სახით – 24.000 დოლარი ჰქონდა.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ხატიაშვილი შპს „ბილდინგ სოლუშენსის" 100%-იანი წილის მფლობელია; რომლის საქმიანობითაც მის მიერ მიღებულმა შემოსავალმა 53.312,74 ლარი შეადგინა; ის ფლობს ასევე შპს „მიკროკლიმატის" 75%-იან წილს; არის „სს ჯორჯიათრეიდის" დირექტორი, რომლის საქმიანობითაც შემოსავლის სახით წინა წელს 53.922,52 ლარი; ხოლო შპს „თბილისის კომერციული ქონების" დირექტორის პოსტზე 34.870,95 დოლარი მიიღო.

დეკლარაციის შევსების მომენტში ხატიაშვილს „საქართველოს ბანკში" ჰქონდა – 5.000 დოლარის ოდენობის ოვერდრაფტი, რომლის გასავალმაც წინა წელს 3.797,44 დოლარი შეადგინა; 210.000 დოლარის ოდენობის სესხი, გასავალმა 2016 წელს 21.102,15 დოლარი შეადგინა; ამავე ბანკში 121.500 დოლარის ოდენობის სესხი ჰქონდა, რომლის შედეგადაც ხატიაშვილის გასავალი წინა წელს 13.941,30 დოლარი იყო.

მის სახელზეა ასევე 207.064 დოლარის სესხი, რომლის შედეგადაც შემოსავლის სახით 2016 წელს ხატიაშვილმა 23.859,58 დოლარი მიიღო; 36.000 დოლარის ოდენობის სესხი, რომლის შემოსავალიც 42.000 დოლარი იყო; 60 ათასი დოლარის სესხი, რომლის შედეგადაც მიღებულმა შემოსავალმა 52.687,54 ლარი შეადგინა. ხატიაშვილს ჰქონდა ასევე „საქართველოს ბანკში" 1.220 დოლარის სამომხმარებლო სესხი; რომლის შედეგად მიღებული შემოსავალი 668,99 დოლარი იყო.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ხატიაშვილმა 2016 წელს 85.825 ლარად შეიძინა წილი შპს „ქართულ კვერცხში"; ხოლო იმავე წელს საწარმოში საკუთარი წილი 36.000 დოლარად გაყიდა. მასვე „საქართველოს ბანკში" 470 ათასი ლარის ოდენობის სესხი ჰქონდა, რომლის შედეგადაც მისმა გასავალმა 493.787 ლარი შეადგინა. მის სახელზეა ასევე 470.000 ლარის სესხი, რომლის შედეგად მიღებული შემოსავალიც 496.429,70 ლარი იყო.

ცქიტიშვილის მეუღლის გასავალმა გასულ წელს მოგზაურობებზე 2.599 ლარი; 1.035 დოლარი და 680,10 ევრო შეადგინა.

## ირაკლი მამალაძემ მიხეილ რამიშვილს მეუფე პეტრეს მიერ დაქირავებული უწოდა

– მამა გიორგის არ მისვლა პროცესზე და 9-წლიანი სასჯელი არის პირდაპირ ბმაში – რაღაც გარიგება მოხდა.

ამის შესახებ პროკურატურის მოწმემ, ირაკლი მამალაძემ „პალიტრანიუსის" გადაცემაში „360 გრადუსი" განაცხადა.

ირაკლი მამალაძემ მიხეილ რამიშვილს



მეუფე პეტრეს მიერ დაქირავებული უწოდა.

– გარიგება მოხდა. კარგი კონტაქტები მაქვს და ვიცი. მამა გიორგი რაღაცის თქმას აპირებდა და მერე არ თქვა, ეს ძალიან ბევრჯერ მოხდა. შევარდებოდნენ ადვოკატები და მერე აღარ იტყოდა. თავიდანვე ეს ფუნქცია ჰქონდათ მათ. ერთგვარად, უნდა ყოფილიყო მეუფე პეტრეს მარჯვენა ხელი, მეუფე პეტრეს დაქირავებულია ეს, – აღნიშნა ირაკლი მამალაძემ.

მიხეილ რამიშვილმა ირაკლი მამალაძეს ჩამშვები და სუს-ის აგენტი უწოდა.

– დაქირავებული ხარ შენ. მთელი ცხოვრება ფულის გაკეთების მეტი არაფერი გიკეთებია. რაც კი ხალხი ჩაგიშვია და დაგიბეზღებია. თემურ თათარაშვილი მათ შორის და შენი ძმების მეგობრებიც კარგად გაიხსენე. თბილისი პატარაა, – მიმართა მიხეილ რამიშვილმა ირაკლი მამალაძეს.

გადაცემა „360 გრადუსი" ადვოკატისა და მოწმის კამათისა და ცხარე დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა.

## ვაკეში დაჭრილი ცოლ-ქმარი მართვით სუნთქვაზეა – „პიქსელში" მომხდარი დრამის დეტალები

გუშინ ვაკეში, „პიქსელის" შენობაში, მამაკაცმა ცოლი დაჭრა.

ერთ-ერთი თვითმხილველის, გიორგი ნიაზაშვილის, ინფორმაციით, მან დაინახა, თუ როგორ საუბრობდნენ ხმამაღლა მამაკაცი და ქალი „პიქსელის ცენტრის" მიმდებარედ, რის შემდეგაც მამაკაცმა ქალს ცივი იარაღით ზურ-



გში ჭრილობა ორჯერ მიაყენა.

მისივე ინფორმაციით, ამის შემდეგ მამაკაცმა თვითდაზიანება ყელის არეში მიიყენა.

თვითმხილველის ინფორმაციით, ქალს დაცვის თანამშრომლის ფორმა ეცვა.

მისივე თქმით, მამაკაცი სხვა დროსაც შეუნიშნავს ტერიტორიაზე.

– მამაკაცი ადრეც შემიმჩნევია ტერიტორიაზე. მე როდესაც დღეს დავინახე, ხმამაღლა საუბრობდნენ, რის შემდეგაც მამაკაცმა ქალი ზურგის არეში ორჯერ დაჭრა და შემდეგ თვითდაზიანება მიიყენა, – განაცხადა თვითმხილველმა გიორგი ნიაზაშვილმა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" რესპუბლიკურ საავადმყოფოში განუცხადეს, ვაკეში მომხდარის შედეგად დაჭრილ ორივე პაციენტს ოპერაცია გაუკეთდა. ორივე მათგანი რეანიმაციულ განყოფილებაში, მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

– ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. მამაკაცი კი დაკვირვების ქვეშ იმყოფება. მათ მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობა აღენიშნებათ, – განაცხადეს საავადმყოფოში.

## ბაბუის მკვლელობაში ბრალდებულ მარიამ კუპრეიშვილთან ერთად დაკავებული გიორგი გვარამია სასამართლოში ჩვენების მიცემას აპირებს



ბაბუის მკვლელობაში ბრალდებულ მარიამ კუპრეიშვილთან ერთად დაკავებული გიორგი გვარამია სასამართლოში დუმილის დარღვევასა და ჩვენების მიცემას გეგმავს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ბრალდებულის ადვოკატმა, ბონდო ვათიაშვილმა განუცხადა.

გვარამიას, კუპრეიშვილის მსგავსად, განზრახ მკვლელობა ედება ბრალად.

წარდგენილი მუხლი სასამართლო განხილვების ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატარებასაც ითვალისწინებდა, თუმცა ბრალდებულებმა უარი განაცხადეს, რომ მათი საქმე ნაფიც მსაჯულებს განეხილათ. როგორც ბრალდებულის ადვოკატმა აღნიშნა, საქმეში არის პირადი ცხოვრების ამსახველი გარკვეული ფაქტები, რომელთა გამჟღავნება ბრალდებულებს ნაფიც მსაჯულებთან არ სურთ.

– სავარაუდოდ, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მისცემს ჩვენებას მთავარ სხდომაზე. დავარწმუნე, რომ თქვას ის, რაც იცის. რაც შეეხება მარიამ კუპრეიშვილს, მასზე ვერ გეტყვით, კვლავ დუმილის უფლებას გამოიყენებს თუ მისცემს ჩვენებას სასამართლოს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არ აღიარებს იმას, რაც ბრალად აქვს წარდგენილი. ვერ გეტყვით იმას, რაც სასამართლო პროცესზე უნდა თქვას, მაგრამ იყო იქ გარკვეული გარემოებები.

ამასთან დაკავშირებით დანიშნული გვაქვს ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა და აქედან გამომდინარე გაირკვევა ბევრი რამ. ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები არ აქვს და ექსპერტიზა მხოლოდ ამის გამო არ ტარდება. უნდა დადგინდეს, რამეს ხომ არ ჰქონდა ადგილი იქ, ან აუცილებელ მოგერიებას, ან ძლიერ სულიერ აღელვებას და ა.შ., – განაცხადა ბონდო ვათიაშვილმა

ადვოკატმა არ გამორიცხა, რომ ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემის შემდეგ მის მიმართ წარდგენილი ბრალის კვალიფიკაცია შეიცვალოს და დანაშაულის შეუტყობინებლობაში გადაუკვალიფიცირდეს.

ამასთან, ადვოკატის მტკიცებით, გიორგი გვარამიას პოლიციაში აღიარებითი ჩვენება ზეწოლის შედეგად მიაცემინეს.

– ჩვენების მიცემისას მას არ ჰყავდა ადვოკატი, ისაუბრა იმ დეტალებზე, რაც არ ყოფილა რეალურად. რუსულენოვანი თარჯიმანიც შუა ჩვენებაში მოუყვანეს, მაშინ, როცა უკვე აღიარებული ჰქონდა. იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა, კერძოდ, ანახეს ტელეფონით გადაღებული მეორე ბრალდებულის აღიარება. ამასთან, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ შეურაცხყოფასაც, – აღნიშნა ადვოკატმა.

## სარფში დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტში ,,სარფი", დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები აღმოაჩინეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, 5 სექტემბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „,სარფი", ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, თურქეთის მოქალაქე, ე.ბ-ს მართვის ქვეშ არსებული სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერებისას, ნარკოტიკული საშუალებები, კერძოდ; მეტანფეტამინი (0,92 გრ.), კოკაინი (0,62 გრ.), მარიხუანა (5,63 გრ.) ექსტაზი (762 აბი) და აღნიშნული აბების ნატეხები, ასევე ნარჩენი ფხვნილი (18,51 გრ.) აღმოაჩინეს.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონულ სამმართველოს გადაეცა.

## „ბავშვთა სამყაროში" ხანძარი დიდი რაოდენობით ნავთობპროდუქტების განზრახ აალებამ გამოიწვია"

„ბავშვთა სამყაროში" გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულების ადვოკატის, ფრიდონ სიხუაშვილის განცხადებით, ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ მასშტაბური ხანძარი სავაჭრო ობიექტზე დიდი რაოდენობით ნავთობპროდუქტების განზრახ აალებას უნდა გამოეწვია.

ამის შესახებ ფრიდონ სიხუაშვილმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა.

მისივე თქმით, ექსპერტიზის დასკვნას ცოტა ხნის წინ გაეცნო. ამასთან, როგორც უფლებადამცველმა განმარტა, საქმის მასალებიდან დადასტურებულად ჩანს, რომ სახანძრო უსაფრთხოების წესები დაცული არ იყო.

– საქმის მასალებიდან რაც ჩანს დადასტურებულად, არის ის, რომ სახანძრო უსაფრთხოების წესები დაცული არ იყო. ამაზე ჩვენ პირველივე დღიდან ვსაუბრობდით. ეს ექსპერტიზის დასკვნით და მოწმეთა ჩვენებებით არის გამყარებული, რომ იქ სახანძრო უსაფრთხოების წესები არ იყო დაცული.

ახლა უკვე გავეცანი ექსპერტიზის დასკვნას. ექსპერტი პირდაპირ საუბრობს, რომ დაახლოებით 83-დან 90 კგ-მდე ნავთობპროდუქტებზე უნდა მომხდარიყო განზრახ ცეცხლის წაკიდება, რომ ამ მასშტაბის ხანძარი გამოეწვია. იქ უსაფრთხოების წესები დაცული არ იყო. დაცული რომ ყოფილიყო, მსგავსი რამ არ მოხდებოდა, დაცვაც შეტყობინებას თავის დროზე მიიღებდა და შესაბამისი რეაგირებაც მოხდებოდა. ამიტომ ის, რომ ადმინისტრაცია ვალდებული იყო, უსაფრთხოების წესები ჰქონოდა დაცული, ექსპერტიზის მიერ დადასტურებულია, – განაცხადა ფრიდონ სიხუაშვილმა.

„ბავშვთა სამყაროში" ხანძარი 2017 წლის იანვრის ბოლოს გაჩნდა.



## ქალი 13 წლის შვილთან ერთად სოციალურ მუშაკებს ფიზიკურად გაუსწორდა

5 სექტემბერს სოციალურ მუშაკებს სასამართლო ორდერის საფუძველზე ოჯახიდან სამი მცირეწლოვანი სააგენტოში უნდა გადაეყვანათ, თუმცა მათ მხოლოდ ორი მოზარდის გადაყვანა მოახერხეს, რადგან უფროსმა ბავ-



შვმა გადასვლაზე უარი თქვა და დედასთან დარჩა.

ბავშვების გადაყვანის შემდეგ, დედა უფროს შვილთან ერთად სააგენტოში მივიდა და სოციალურ მუშაკებს თავს დაესხა. დედა და 13 წლის მოზარდი სამ სოციალურ მუშაკს ფიზიკურად გლდანის ფილიალში გაუსწორდა.

სოციალური მუშაკი მარიამ ბანძავა აცხადებს, რომ არსებობს იმ მექანიზმების საჭიროება, რომლებიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას.

## ნარკოდანაშაულისთვის რუსეთის მოქალაქე დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე,



1987 წელს დაბადებული ა.ჟ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ინტერნეტის საშუალებით სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას ახდენდა. ის შეკვეთებს ინტერნეტის მეშვეობით იღებდა და ნარკოტიკებს თბილისის სხვადასხვა უბანში, კონკრეტულ მისამართებზე დებდა.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული 187,9236 გრამი კანაფის ფისი, 2 კილო და 399,53 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. „ბიო" ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის, ასევე, საქართველოში უკანონოდ შემოტანის და გასაღების მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 19-260-ე მუხლის მე-4 ნაწილით).

# პუტინი დონბასში გაეროს სამშვიდობოების შეყვანას დათანხმდა

## უკრაინამ პუტინის წინადადება უარყო




ვლადიმერ პუტინი თანახმაა, დონბასში გაეროს ცისფერჩაფხუტიანები შეიყვანოს. ამავე დროს მან განაცხადა, რომ საამისოდ კონფლიქტის ორივე მონაწილის, მათ შორის დონეც-ლუგანსკის რესპუბლიკების თანხმობაცაა აუცილებელი.

რუსეთის პრეზიდენტის ამ განცხადებას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გაბრიელი გამოეხმაურა. მან პუტინის ინიციატივა დადებითად შეაფასა.

– რუსეთის პრეზიდენტის ინიციატივა უდავოდ კონსტრუქციულია, – თქვა გაბრიელმა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ დონბასში გაეროს ცისფერჩაფხუტიანების განთავსება შესაძლოა გახდეს პირველი ნაბიჯი რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმებისათვის.

გერმანიის კანცლერი მერკელი პუტინის ინიციატივის მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი.

– ჩემი პოზიცია უცვლელია: სანქციები მხოლოდ მას შემდეგ გაუქმდება, როცა რუსეთი მინსკის შეთანხმებებს შეასრულებს, – განაცხადა მერკელმა.

დონბასელი სეპარატისტები რუსი პატრონის ინიციატივას მიესალმნენ. ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის მეთაურმა ზახარჩენკომ განაცხადა:

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს რუსი მშვიდობისმყოფელები იქნებიან. რუსეთის გარდა, დონბასში სამშვიდობო მისიის განხორციელება არავის არ შეუძლია, – ამბობს ზახარჩენკო.

უკრაინული მხარე პუტინის ინიციატივას ნეგატიურად შეხვდა.

უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენელმა პარლამენტში ირინა ლუცენკომ განაცხადა, რომ გაეროს ცისფერჩაფხუტიანების ჩაყენება ურიგო არ იქნებოდა, უკრაინა ამას კარგა ხანია მოითხოვს, მაგრამ პუტინის ინიციატივა ამის დასაბლოკადაა მიმართული. ლუცენკოს აზრით, მიუღებელია პუტინის სიტყვები, რომ გაეროს ცისფერჩაფხუტიანების საკითხი ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკებთან უნდა იყოს შეთანხმებული. ეს სტრუქტურები კონფლიქტის მხარეს არ წარმოადგენენ. ესაა მარიონეტული წარმონაქმნები, რომლებიც რუსეთიდან იმართებიან. ასევე „დონბასელი მოლაშქრეებიც“ არ არსებობენ. არსებობს რუსეთის რეგულარული არმია, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა და მისი ნაწილის ოკუპაცია მოახდინა.

– გამომდინარე ზემოთქმულიდან, მიუღებელია პუტინის სიტყვები ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკებთან მოლაპარაკების თაობაზე, – თქვა ლუცენკომ.

მან ასევე დაიწუნა პუტინის წინადადება გაეროს ცისფერჩაფხუტიანების სეპარატისტებსა და უკრაინელ ჯარისკაცებს შორის გამყოფ ხაზზე განლაგების თაობაზე.

– ეს არ არის სახელმწიფო საზღვარი, – თქვა ლუცენკომ და აღნიშნა, რომ გაეროს ცისფერჩაფხუტიანები სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა განლაგდნენ.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პუტინის ინიციატივის გამო საპროტესტო განცხადება უკვე გააკეთა.

უკრაინის წარმომადგენელმა გაეროში ელჩენკომ აღნიშნა, რომ პუტინი კონფლიქტის გაყინვისკენ მიისწრაფის, რაც უკრაინის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის დაკანონებაა. ელჩენკომ ხაზი გაუსვა, რომ კრემლისთვის უკრაინის საგარეო კურსი მიუღებელია. პუტინიც უკრაინაზე ზეწოლას განაგრძობს.

– რუსეთის პრეზიდენტის სიტყვები წარმოადგენს სამშვიდობო პროცესის დაწყების იმიტაციას და არა ამ პროცესის რეალურად დაწყებას! – განაცხადა ელჩენკომ.

უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო აპირებს გაეროს უშიშროების საბჭოს სესიაზე გამოსვლას და იქ თავისი პოზიციის დაფიქსირებას.

– პუტინი თავის აგრესიულ პოლიტიკას განაგრძობს. ე.წ. სამშვიდობო ინიციატივა ფაქტობრივად სამშვიდობო პროცესის საბოტაჟია, – ამბობს პოროშენკო.

# სტალინმა 1940 წელს ლატვიელებს, ლიტველებს და ესტონელებს დამოუკიდებლობის გარანტია მისცა




ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ბალტიელი პარტიზანების ანუ „ტყის ძმების“ მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები გაასაჯაროვა.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, სტალინმა 1940 წელს ლატვიელებს, ლიტველებს და ესტონელებს გარანტია მისცა, რომ ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა შენარჩუნდებოდა და არც სოვეტიზაცია მოხდებოდა. საუბარი იყო მხოლოდ დამატებითი რუსული სამხედრო კონტინგენტის განთავსებაზე და მეტი არაფერი.

– იმხანად ბალტიისპირეთში ძლიერი ანტიგერმანული განწყობილება სუფევდა. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, მათ შორის სამხედროებში, თვლიდნენ, რომ რუსეთთან კავშირი მათ გერმანელებისგან დაიცავდა და დამოუკიდებლობასაც შეუნარჩუნებდა, – ნათქვამია დოკუმენტებში.

შედეგად ბალტიის მოსახლეობა 1941 წლის ივნისში რუსული არმიის შესვლას მშვიდად შეხვდა. ზოგიერთები რუსებს სიხარულით შეხვდნენ, ზოგიც შეწუხებული იყო. უმრავლესობა ამ ფაქტისადმი გულგრილი დარჩა.

წინააღმდეგობის მოძრაობა მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ანექსია მოხდა. სტალინის ბრძანებით, „ანტისაბჭოთა ელემენტების“ ციმბირში დეპორტაცია დაიწყო, რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო როგორც 1941 წლის ზაფხულში, ასევე 1946-47 წ.წ.-ში. „ექსპლუატატორთა ნაშთებთან“ ბრძოლის საბაბით ბალტიის მოსახლეობის გენოციდი მიმდინარეობდა. ხალხიც იძულებული იყო, ტყეებში გახიზნულიყო, რათა თავი გადაერჩინა.

დოკუმენტებში ნათქვამია, რომ „იდეური პატრიოტები“ პარტიზანებს შორის ცოტანი იყვნენ. უმრავლესობა იყო გლეხები, რომელთაც პოლიტიკისა არაფერი გაეგებოდათ. ისინი ტყეში იმიტომ გავიდნენ, რომ რუსულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ მთელი ქონება ჩამოართვა, თავად მათ კი ციმბირში გასახლება დაუპირა.

იყვნენ ისეთებიც, რომელთაც რუსებმა ახლობლები ამოუხოცეს.

# რუსეთი ფხენიანის ბირთვულ სტატუსს არ აღიარებს



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სამხრეთ კორეის ლიდერ მუნ ჩჟე ინს შეხვდა. საუბარი ჩრდილოეთ კორეის გარშემო წარიმართა.

– რუსეთი ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ სტატუსს არასოდეს აღიარებს, – თქვა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა, რათა კონფლიქტის განმუხტვაში მონაწილეობა მიიღოს. მისი აზრით, ჩრდილოეთ კორეაზე ზეწოლის გაძლიერება და ახალი სანქციების შემოღება შედეგს არ მოიტანს.

– მოპირდაპირეს კუთხეში მომწყვდევა მუდამ საშიშია. მით უმეტეს, თუკი საქმე ისეთ ქვეყანასთან გვაქვს, როგორიც ჩრდილოეთ კორეაა. აქ ახლებური მიდგომაა აუცილებელი, – თქვა პუტინმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთს ასეთი მიდგომა გააჩნია. ამავე დროს, პუტინმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ დასავლეთი მისი ქვეყნის მიმართ სანქციებს ინარჩუნებს.

– ჩვენ დასავლეთთან პარტნიორობა გვსურს, მაგრამ სანქციები ამას პრობლემებს უქმნიან, – ამბობს პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტმა სამხრეთ კორეის ლიდერს მოუწოდა, მხარი დაუჭიროს დონბასში გაეროს სამშვიდობო მისიის ამოქმედებას, რათა ამ რეგიონში მშვიდობამ დაისადგუროს.

– იმედი მაქვს, რომ სამხრეთ კორეის სახით ამ საკითხში მოკავშირე გვეყოლება, – თქვა პუტინმა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ბრაზილიის ორი ყოფილი პრეზიდენტი კორუფციაში დაადანაშაულეს



ბრაზილიის გენერალურმა პროკურორმა ორი ყოფილი პრეზიდენტი, და სილვა და რუსეფი, კორუფციაში დაადანაშაულა.

პროკურორმა განაცხადა, რომ დამამტკიცებელი საბუთები საკმაოზე მეტია. შესაბამისად არსებობს ყველა საფუძველი, რათა ექსპრეზიდენტები წინასწარ პატიმრობაში იქნან აყვანილნი.

ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტების ბედს უმაღლესი სასამართლო გადაწყვეტს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*



# განცხადებები

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

●სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობამამაკაცებისათვისგარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ქულა ავსტრიიდან — საქართველო ვერ იგებს, მაგრამ არ აგებს



**ავსტრია-საქართველო 1:1**

**ვენა.** ერნსტ ჰაპელი

0:1 გვილია (8), 1:1 შაუბი (43)

**ავსტრია:** ლინდნერი, დრაგოვიჩი, ჰინტერეგერი, არნაუტოვიჩი, ალაბა (შაუბი 38), ჰარნიკი (იანკო 68), ბაუერი, ბაუმგარნიტნგერი, გრილიტში, კაინცი, დანსო

**საქართველო:** მაკარიძე, კაშია, კვერკველია, კანკავა, ყაზაიშვილი (ხოჭოლავა 90), ანანიძე, ქვილითაია (დვალიშვილი 88), გვილია (მერებაშვილი 68), კვეკვესკირი, კაკაბაძე, ნავალოვსკი

საქართველოს ნაკრებმა ისევ არ წააგო. უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც შესარჩევ ციკლში ჩვენმა ნაკრებმა სტუმრად 3 ქვეყნის ნაკრებთან აიღო თუნდაც ქულა. ერთი მსგავსი ფაქტი მხოლოდ 2012 წლის შესარჩევ ეტაპზე მოხდა.

თუმცა, ვერც მოიგო და ამ გრაფაში კვლავაც ნული უწერია. ავსტრიასთან შეიძლებოდა მოგებაც, მაგრამ სითამამე გვაკლდა. გატანილი გოლის შემდეგ დაცვიდან თამაშს ჩვენთვის კარგი არასდროს მოუტანია და ასე მოხდა ახლაც. მართალია, თავს კარგად ვიცავდით, მაგრამ გარკვეულ მონაკვეთებში გვქონდა ჩავარდნები და ავსტრიელებს ეს რომ გამოეყენებინათ, ალბათ წავაგებდით.

არ ვაკნინებთ ამ ქულას, პირიქით, ავსტრიელებთან სტუმრად შედეგიანადაც უნდა მივიჩნიოთ, თამაშის ხარისხიც გამოსწორებულია, მაგრამ ისე ჩანს, რომ კვლავაც არსებობს შიშის ფაქტორი. თითქოს წაგებულის ფსიქოლოგია მოქმედებს და გუნდი სულ იმის შიშშია, რამენაირად თამაში არ წააგოს და მოგებას არ დაეძებს.

მთლიანობაში აუგს ვერ ვიტყვით — ქულა წამოვიღეთ, იღბალი და მაკარიძეც წაგვეხმარა, უკეთესის სურვილიც გვაქვს...

ვლადიმირ ვაისმა ირლანდიასთან შეხვედრის შემდეგ მხოლოდ ერთი ცვლილება განახორციელა — ჯამბულ ჯიღაურის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ჯაბა კანკავა დააყენა. ჩვენების სასტარტო განლაგება ასეთი იყო:

მეკარე გიორგი მაკარიძის წინ, დაცვის ცენტრში გურამ კაშია და სოლომონ კვერკველია თამაშობდნენ, ფლანგებზე — ოთარ კაკაბაძე და გიორგი ნავალოვსკი.

კანკავას გამოჩენის შემდეგ სასტარტო თერთმეტეულში 3 საყრდენი გაჩნდა — ნიკა კვეკვესკირი, ვალერიან გვილია და კანკავა. აქედან გვილია სხვებზე უფრო წინ იდგა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ადგილები იცვლებოდა. ნახევარდაცვის ფლანგებზე ვაკო ყაზაიშვილი და ჯანო ანანიძე იდგნენ, ხოლო ეული ფორვარდი გიორგი ქვილითაია იყო.

ორივე გუნდისთვის მსოფლიო ჩემპიონატის კარი უკვე დახურულია, ამიტომაც თამამად დაიწყეს შეხვედრა და ანგარიშიც მალევე გაიხსნა — კანკავას დაწყებული კომბინაცია, ანანიძემ გააგრძელა, რომელმაც დაფარული პასით გვილია მოძებნა, მანაც ტექნიკური მოძრაობით ავსტრიელი დანსო გააბითურა, შემდეგ კი გამოზომილი დარტყმით ლინდნერს შორეულ კუთხეში გაუტანა.

ადრიანი გოლის შემდეგ დავწყნარდით, ინიციატივა მეტოქეს დავუთმეთ და თავს აკადემიურად ვიცავდით. სანამ მეორე ნომრად გადავეწყობოდეთ, შეტევაში საქმე არ გამოგვდიოდა, მაგრამ არც ავსტრიელებს ვაძლევდით ზედმეტის უფლებას. თუმცა, მე-18 წუთზე, კაინცის ჩაწოდების შემდეგ, ჰარნიკმა თავური დარტყმით ხარიხა შეაზანზარა.

თამაში იმავე სტილში გაგრძელდა და ავსტრიელები მომდევნო ჯერზე 32-ე წუთზე დაგვემუქრნენ — არნაუტოვიჩი ჯერ კანკავას გასცდა, შემდეგ — კვერკველიას და ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა.

მალევე ავსტრიელებს ერთ-ერთი ლიდერი, ალაბა დაემტვრათ, რომელიც შაუბმა შეცვალა, მან ავსტრიელთა დანაკლისი უმალვე შეავსო და გაგვითანაბრა. გოლისას დაცვა ჩავარდა: ნავალოვსკის ფლანგზე ბაუერი გაიპარა, რომელმაც თავის საჯარიმოს ცენტრში ჩააგდო ბურთი, სადაც ჰარნიკი დაუხვდა და 5 მეტრიდან კარში დაარტყა, მაკარიძემ ურთულესი ბურთი მოიგერია, მაგრამ შაუბმა ყველას დაასწრო და ქართველთა მეკარეს ახლოდან უძლიერესი დარტყმით გაუტანა — 1:1.

განგაშის ზარმა გოლამდე რამდენიმე წამით ადრე ჩამოკრა, მაგრამ მაშინ კაინცმა ვერ გამოიყენა ასპროცენტიანი მომენტი — მაკარიძემ ძალიან ძნელი ბურთი ფეხით აიღო.

ტაიმი ავსტრიელთა ტერიტორიული უპირატესობით ჩამთავრდა, ხოლო ანგარიში საყაიმო იყო.

მეორე ტაიმიც მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო — ავსტრიელები თანდათან აძლიერებდნენ დაწოლას. გართულდა თამაში, უკვე ბურთის ამოტანაც გვიჭირდა და მუდმივად წნეხის ქვეშ ვიყავით. ერთადერთხელ იყო, ყაზაიშვილი ხელსაყრელ პოზიციაში რომ დარჩა, მაგრამ მცველს ვერ აჯობა.

ამის შემდეგ ვაისმა ცვლილება გააკეთა — გოლის ავტორი გვილია მოხსნა და მის ნაცვლად მერებაშვილი შეუშვა. განლაგებაც სხვა გახდა — ანანიძემ ცენტრში შეიწია, მერებაშვილი ფლანგზე დადგა და გუნდმაც ცოტა ამოისუნთქა. ჩვენც მოვუმატეთ, მეტოქე ისეთ წნეხში ვერ გვამყოფებდა, როგორც დასაწყისში. თამაში ოდნავ დაწყნარდა, ბურთსაც შედარებით მშვიდად ვაკონტროლებდით, ნახევრად მომენტიც ჰქონდა ყაზაიშვილს. საპასუხოდ დანსომ ააცილა კუთხურის შემდეგ.

მატჩის ბოლომდე ორივე ცდილობდა მატჩი სათავისოდ დაესრულებინა, მაგრამ ტაბლოზე ანგარიში აღარ შეცვლილა — 1:1.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სერბეთი | 8 | 5 | 3 | 0 | 17:7 | 18 |
| 2.უელსი | 8 | 3 | 5 | 0 | 12:5 | 14 |
| 3.ირლანდია | 8 | 3 | 4 | 1 | 9:6 | 13 |
| 4.ავსტრია | 8 | 2 | 3 | 3 | 10:10 | 9 |
| 5.საქართველო | 8 | 0 | 5 | 3 | 8:12 | 5 |
| 6.მოლდოვა | 8 | 0 | 2 | 6 | 4:20 | 2 |

# საქართველომ ისრაელი დაამარცხა

**ისრაელი-საქართველო 91:104 (ოტ)**

(22:21, 27:26, 21:20, 19:22, 2:15)

თელ ავივის სავსე ტრიბუნების წინაშე, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ისრაელს დამატებით დროში სძლია და ევროპის ჩემპიონატის მასპინძლები ჯგუფში ჩატოვა. ისრაელს მოგება ჰაერივით სჭირდებოდა, ქართველებს კი წაგების შემთხვევაშიც კი თეორიული შანსი რჩებოდათ, თუმცა ჩვენმა ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს, ბოლომდე გმირულად იბრძოლეს და მატჩი, რომლის უდიდეს დროს ჩამორჩებოდნენ, დამატებით დროში 104:91 მოიგეს.



ქართველებმა მასპინძლებს გამარჯვება ხელიდან გამოგლიჯეს. ბევრით არა, მაგრამ ისრაელი ბოლო პერიოდის შუაწელამდე ლიდერობდა. ბოლო წუთებამდე ქართველები ერთადერთხელ, მეორე პერიოდში, რამდენიმე წამით დაწინაურდნენ, თუმცა გალ მეკელის წარმოუდგენელ გარღვევებს, რიჩარდ ჰოუელის ფარქვეშა დომინაციას და იოგნევ ოჰაიონის უცნაურად დაკიდებულ სროლებს ვერაფერს უხერხებდნენ და პირველ ნახევარში მასპინძლებისგან 49 ქულა მივიღეთ. ისრაელი კი ხან 4, ხან 6, ხანაც 10 ქულით ლიდერობდა. ერთ ეპიზოდში სხვაობამ 11 ქულას მიაღწია.

ქართველები ბრძოლისა და შეუპოვრობის ხარჯზე ახერხებდნენ მეტოქესთან მიახლოებას, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, ლიდერობის მოსაპოვებლად ძალა არ ჰყოფნიდათ.

გარდატეხა მოხდა ბოლო პერიოდში, როცა გუნდური თამაშითა და დაცვაში ყოჩაღი გარჯით შეტევაშიც ხელ-ფეხი გაგვეხსნა, ამას მოჰყვა ისრაელის ნატურალიზებული ცენტრის, ჰოუელის მოედნიდან გავარდნა და ქართველები მატჩის დასრულებამდე 2:30 წუთით ადრე 5 ქულით დაწინაურდნენ.

გამარჯვება ახლოს იყო, თუმცა ებრაელებმა გალ მეკელის გარღვევით მოახერხეს ბოლო წუთზე ქულით დაწინაურება. აქ მოხდა თითქმის წარმოუდგენელი რამ: ჩვენებმა ორჯერ შეტევაში ბურთი დაკარგეს, თუმცა საპასუხოდ თავი კარგად დაიცვეს და ძირითადი დროის დასრულებამდე 25 წამით ადრე თორნიკე შენგელიამ ებრაელთა ლიდერ ომრი კასპის დაუფარა, მაიკლ დიქსონმა დუდა სანაძის დროული პასით სამქულიანი ჩააგდო და სირენამდე 12 წამით ადრე საქართველო 89:87 დააწინაურა. ებრაელებმა კომბინაცია სწრაფად გაითამაშეს და ომრი კასპიმ ფარქვეშიდან ანგარიში გაათანაბრა.

ქართველებს 6 წამი ჰქონდათ დარჩენილი და სწორი გადაწყვეტილებაც მიიღეს, ბურთი ზაზა ფაჩულიას საჯარიმოსთან მიაწოდეს, რომელიც ფარისკენ დაიძრა, ახტა და ... მსაჯებმა მასპინძლებზე ჯარიმა არ დააფიქსირეს და მატჩი ოვერტაიმში გადავიდა.

დამატებითი დრო ცალფარა გამოდგა. ქართველებმა ილაჯგამოცლილ ებრაელებს ქულების სეტყვა დაატეხეს თავს და ოვერტაიმის 15:2 მოგებით 13-ქულიანი გამარჯვება გაიფორმეს.

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო შედეგი შენგელიამ დააფიქსირა, რომელმაც საქართველოს ნაკრების მოთამაშეებისთვის სარეკორდო 19 მოხსნა მიითვალა. ამასთან, თორნიკემ 25 ქულა მოიპოვა და მატჩის ყველაზე შთამბეჭდავი სტატისტიკის ავტორი გახდა. 17 ქულა მიითვალა დუდა სანაძემ, ხოლო მაიკლ დიქსონმა თავი 18 ქულას მოუყარა.

მატჩში მეორე ორმაგი დუბლი კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ მიითვალა, რომელმაც 19 ქულას 11 მოხსნა მოაყოლა. ძალიან სარგებლიანად გაისარჯა მანუჩარ მარკოიშვილი, რომელმაც 11 ქულა, 4 პასი, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა მოაგროვა. გიორგი შერმადინმა სამწამიან ზონაში კარგად იბრძოლა და თავი 9 ქულას და 8 მოხსნას მოუყარა. მთლიანობაში საქართველომ ისრაელზე 28-ით მეტი ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოიპოვა.

# ჯობავა მსოფლიო თასზე გამოსვლას აგრძელებს



თბილისში მიმდინარე მსოფლიოს თასზე ჭადრაკში დაძაბულ რეჟიმში გაიმართა პირველი წრის დამატებითი ტაიბრეიქი. 22 წყვილი მეორე წრის საგზურისათვის თავგამოდებით იბრძოდა.

ბუნებრივია, ქართველი გულშემატკივრის ყურადღების ცენტრში ბაადურ ჯობავას მატჩი იყო ესპანელ დიდოსტატ ივან ლოპეს სალგადოსთან.

მინი-მატჩი საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა, 25-წუთიანი მატჩში ორივე ყაიმით დასრულდა, 10-წუთიანი პარტიებისგან შემდგარ დაპირისპირებაში, ბაადურმა პირველი მოიგო და მეორეშიც ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან, თუმცა რამდენიმე უზუსტობით მეტოქეს გათანაბრების შანსი მისცა. საგზურის ბედი 5-წუთიანმა პარტიებმა გადაწყვიტა, პირველი ყაიმის შემდეგ ქართული ჭადრაკის ლიდერმა შეძლო მობილიზება და მეტოქე გადამწყვეტ, მეორე პარტიაში დამაჯერებლად დაამარცხა.

მომდევნო წრეში ჯობავას მეტოქე უძლიერესი ჩინელი დიდოსტატი იუ იანგი იქნება.

# პელე: „ევროპაში არ წავედი“



ბრაზილიის ნაკრებისა და სანტოსის ლეგენდარული თავდამსხმელი პელე იხსენებს, რომ თავის დროზე მისით მიუნხენის ბაიერნი იყო დაინტერესებული. თუმცა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი იძახის, რომ მუდამ სანტოსის ერთგული გახლდათ.

**პელე:**

— ჩემი მომსახურებით მხოლოდ მადრიდის რეალი არ ყოფილა დაინტერესებული. მოწვევა მივიღე ტურინის იუვენტუსიდან, ნაპოლისაგან... ასევე მთავაზობდნენ ბაიერნში მეთამაშა ფრანც ბეკენბაუერის გვერდით. ცოტათი ვიყოყმანე, მაგრამ სანტოსში თამაშით სიამოვნებას ვიღებდი. ნუ დავივიწყებთ, რომ სანტოსი დიდებული გუნდი იყო, ამიტომ ევროპაში გადასვლაზე არც მიფიქრია.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიელი და გერმანელი ლეგენდების გზები მაინც გადაიკვეთა. ფრანც ბეკენბაუერი 1977 წელს ნიუ იორკ კოსმოსში გადავიდა, სადაც 1975 წლიდან უკვე თამაშობდა პელე. მათ ერთად 1 სეზონი ჩაატარეს და გულშემატკივრებს არაერთი წარუშლელი მოგონება დაუტოვეს.

## შედეგები

**5 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

ავსტრია-საქართველო ... 1:1
ირლანდია-სერბეთი ... 0:1
ისლანდია-უკრაინა ... 2:0
იტალია-ისრაელი ... 1:0
კოსოვო-ფინეთი ... 0:1
ლიხტენშტეინი-ესპანეთი ... 0:8
მაკედონია-ალბანეთი ... 1:1
მოლდოვა-უელსი ... 0:2
თურქეთი-ხორვატია ... 1:0

**ს.ამერიკა**

ბოლოვია-ჩილე ... 1:0
კოლუმბია-ბრაზილია ... 1:1
ეკვადორი-პერუ ... 1:2
არგენტინა-ვენესუელა ... 1:1
პარაგვაი-ურუგვაი ... 1:2

**აზია**

ავსტრალია-ტაილანდი ... 2:1
ერაყი-საემიროები ... 1:0
ირანი-სირია ... 2:2
კატარი-ჩინეთი ... 1:2
უზბეკეთი-კორეა ... 0:0
ს.არაბეთი-იაპონია ... 1:0

**აფრიკა**

კონგო-განა ... 1:5
ს.აფრიკა-კაპო ვერდე ... 1:2
დრ.კონგო-ტუნისი ... 2:2
კოტ დივუარი-გაბონი ... 1:2
ბურკინა ფასო-სენეგალი ... 2:2
ეგვიპტე-უგანდა ... 1:0
მალი-მაროკო ... 0:0
ალჟირი-ზამბია ... 0:1

**ოკეანეთი**

სოლ.კუნძულები-ახ.ზელანდია ... 2:2

**კონკაკაფი**

ჰონდურასი-აშშ ... 1:1
კოსტა რიკა-მექსიკა ... 1:1
პანამა-ტრინიდადი ... 3:0

ეჩ-2019. შესარჩევი ეტაპი ... (21)
აზერბაიჯანი-ირლანდია ... 1:3
სომხეთი-მაკედონია ... 0:3
უნგრეთი-მალტა ... 2:1
ანდორა-უკრაინა ... 0:6
ბულგარეთი-ლუქსემბურგი ... 0:1
დანია-ლიტვა ... 6:0
რუსეთი-გიბრალტარი ... 3:0
რუმინეთი-შვეიცარია ... 1:1
ფინეთი-ფარერები ... 1:1
ჩეხეთი-ბელარუსი ... 1:1
საფრანგეთი-ყაზახეთი ... 4:1
შვედეთი-კვიპროსი ... 4:1
გერმანია-კოსოვო ... 1:0
ნორვეგია-ისრაელი ... 0:0
ესტონეთი-ესპანეთი ... 0:1
ბელგია-თურქეთი ... 0:0
პორტუგალია-უელსი ... 2:0
სლოვაკეთი-ჩრ.ირლანდია ... 1:0
შოტლანდია-ჰოლანდია ... 2:0
ინგლისი-ლატვია 3:0

**კალათბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

უკრაინა-ლიტვა ... 62:94
იტალია-გერმანია ... 55:61
საქართველო-ისრაელი ... 104:91
ჩეხეთი-მონტენეგრო ... 75:88
ხორვატია-ესპანეთი ... 73:79
რუმინეთი-უნგრეთი ... 71:80
რუსეთი-ლატვია ... 69:84
დ.ბრიტანეთი-სერბეთი ... 68:82
თურქეთი-ბელგია ... 78:65
ისლანდია-სლოვენია ... 75:102
პოლონეთი-საფრანგეთი ... 75:78
საბერძნეთი-ფინეთი ... 77:89

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## პოლიციისგან გაქცეული ამერიკელი ზვიგენს გადაეყარა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ სერფ-სიტიში, მამაკაცი შეეცადა ცურვით გაქცეოდა პოლიციელებს და ზვიგენს გადაეყარა. პოლიციის კვადროკოპტერის მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციელებმა გააჩერეს ავტომობილი, რომლითაც 20 წლის ზაკარი კინგსბერი მგზავრობდა და მასში ნარკოტიკები აღმოაჩინეს. დაპატიმრებისთვის თავი რომ აერიდებინა, მამაკაცი ოკეანეში გადახტა და გაცურა.

კინგსბერის პოლიციელებმა კვადროკოპტერი დაადევნეს. ის დაახლოებით ერთი საათის



განმავლობაში ილებდა ვიდეოზე გაქცეულს, რომელმაც ამ დროში 1,2 კილომეტრი მანძილი გაცურა. ჰაერიდან გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, რომ გზად მამაკაცი ზვიგენს გადააწყდა, რომელსაც მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

სამი საათის შემდეგ კინგსბერი ქალაქის ერთ-ერთ პლაჟზე დააპატიმრეს. მას ნარკოტიკების გამო, რომელიც მის მანქანაში აღმოაჩინეს, ბრალი წაუყენეს.

## მაღაზიიდან მიმავალმა ჩინელმა ბავშვი ქუჩაში გააჩინა და გზა ჩვილთან ერთად გააგრძელა

ფეხმძიმე ჩინელმა მოულოდნელად ბავშვი ქუჩაში გააჩინა. ეს ქალაქ იუნიფუში მოხდა. თვითმხილველის მიერ ვიდეოზე გადაღებულმა ჩანაწერმა ჩინეთში ვირუსული პოპულარობა მოიპოვა.

მშობიარობა ქალს მაშინ დაეწყო, როდესაც ის მაღაზიიდან ბრუნდებოდა. გამვლელებმა მას სკამი მიუტანეს და ძირს მუყაო დაუფინეს. მას ადგილზე მისული სასწრაფო დახმარების თანამშრომელი დაეხმარა. ვიდეორგოლის ბო-



ლოს ჩანს, რომ ახლად ნამშობიარები ქალი ქუჩაში მიაბიჯებს, მას ცალ ხელში მაღაზიაში შეძენილი ნივთები უჭირავს, ხოლო მეორეში თავისი ჩვილი ბავშვი.

## პრინცი უილიამი და კეიტი მესამედ გახდებიან მშობლები



პრინცი უილიამი და კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტი მესამე ბავშვს ელოდებიან. ამის შესახებ ტვიტერში კენსინგტონის სასახლის გვერდზე გამოქვეყნებულ პრეს-რელიზშია საუბარი.

როგორც მასშია ნათქვამი, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II და სამეფო ოჯახის წევრები ამ ახალი ამბით გახარებულები არიან.

ჰერცოგინიას, ისევე, როგორც წინა ორი ფეხმძიმობის დროს, ტოქსიკოზი აწუხებს. ამის გამო ის ვერ დაესწრება დაგეგმილ ღონისძიებებს და სასახლეში დარჩენა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ კეიტსა და უილიამს უკვე ჰყავთ ორი შვილი. კემბრიჯის პრინცესა შარლოტა 2015 წლის მაისში დაიბადა. ამჟამად ის ორი წლისაა. კემბრიჯის პრინცი ჯორჯი კი ოთხი წლისაა, ის 2013 წლის ივლისში დაიბადა.

## 15 წლის ამერიკელმა კუბიკ რუბიკის რეკორდი მოხსნა



ამერიკელმა მოზარდმა, 15 წლის პატრიკ პონსმა კუბიკ რუბიკის აწყობის ახალი რეკორდი დაამყარა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი გამოცემა ავრცელებს, ხოლო მისი ამსახველი ვიდეო იუთუბიზეა გამოქვეყნებული.

პონსმა ადრინდელი რეკორდი 0,05 წამით გააუმჯობესა და კუბიკ რუბიკი 4,69 წამში ააწყო. მოზარდმა აღიარა, რომ შოკირებული იყო, როდესაც შეიტყო, რომ ამოცანას თავი სარეკორდო დროში გაართვა. მას კუბიკის ასაწყობად 17 მოძრაობის შესრულება დასჭირდა.

ადრინდელი რეკორდი 2016 წლის ნოემბერში მათს ვალკმა დაამყარა. მაშინ მას კუბიკ რუბიკის აწყობა 0,164 წამით ნაკლებ დროში შეძლო, ვიდრე ადრინდელ რეკორდულ მაჩვენებელში იყო დაფიქსირებული.

## შვიდი წლის გოგონამ ლეგენდარულ ტბაში ხმალი იპოვა

ბრიტანელმა მოსწავლემ ტბაში ხმალი იპოვა, რომელშიც, ლეგენდის თანახმად, მეფე არტურის ხმალი განისვენებს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

შვიდი წლის მატილდა ჯონსი ტბა დოზმარი-პულში ბანაობდა, რომელიც კორნუოლში მდებარეობს და ფსკერზე მახვილი შენიშნა. გოგონას მამას ეჭვი ეპარება, რომ ის ნამდვილია. მისი აზრით, მან კინოგადაღებების შემდეგ დარჩენილი რეკვიზიტი იპოვა. ხმლის სიგრძე მატილდას სიმაღლეს ემთხვევა – 120 სანტიმეტრი.



მამაკაცი ამტკიცებს, რომ გზაში შვილს მეფე არტურის შესახებ უყვებოდა: ლეგენდის თანახმად, ერთ-ერთმა რაინდმა დაღუპული მეფე არტურის ხმალი წყალში გადააგდო, მას კი მხოლოდ ის ადამიანი იპოვის, რომელიც ბრიტანეთის ტახტზე ასვლის ღირსი იქნება. ტბა დოზმარი-პული, სადაც გოგონამ ხმალი იპოვა, ერთ-ერთი ის წყალსატევია, რომელიც ამ ლეგენდას უკავშირდება.

## 70 წლის პენსიონერმა მესამედ გადაცურა ატლანტიკის ოკეანე

70 წლის პოლონელმა პენსიონერმა ალექსანდრ დობამ ატლანტიკის ოკეანე შვიდმეტრიანი ბაიდარკით გადაცურა.

კვირას, 3 სექტემბერს მან თავისი მარშრუტის საფინალო პუნქტს – საფრანგეთის ქალაქ ლე-კონკეს მიაღწია. მისი მოგზაურობა 16 მაისს ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატში ბერნიგეტის ყურედან დაიწყო. 17 ივნისს ცნობილი გახდა, რომ ბაიდარკას საჭე გაეჭედა. თუმცა დობამ საკუთარი ძალებით მოახერხა მისი შეკეთება და ცურვა გააგრძელა.

2010 წელს დობა გახდა პირველი ადამი-



ანი, რომელმაც მარტოდმარტომ მოახერხა ბაიდარკით ატლანტიკის ოკეანის გადაცურვა. 2013 წელს მან მეორედ გადაცურა ოკეანე და დაამყარა ბაიდარკით ღია წყალსატევის ყველაზე შორი მანძილის გადაცურვის რეკორდი.

## ბრიტანეთის ფოსტა „ვარსკვლავური ომების“ მარკებს გამოუშვებს



დიდი ბრიტანეთის სამეფო ფოსტა გამოუშვებს მარკებს, რომლებიც კინოსაგის „ვარსკვლავური ომების“ მერვე ეპიზოდს ეძღვნება. ამ ინფორმაციას ამ ორგანიზაციის პრესრელიზი ავრცელებს.

მათზე გამოსახული იქნება ჩუბაკა, მაზ კანატა, სნოუკი და დროიდები -8, ღ2- 2, ჩ-3 , რომლებიც მაყურებლებისთვის „ვარსკვლავური ომებიდან“ უკვე ცნობილია. მარკებზე ზოგიერთი დეტალის დანახვა მხოლოდ ულტრაიისფერი განათების პირობებში იქნება შესაძლებელი.

პრესრელიზში აღნიშნულია, რომ მარკები „ვარსკვლავურ ომებში“ მონაწილე მრავალრიცხოვანი ბრიტანელი მსახიობებისა და გადამღები ჯგუფის მონაწილეთა პატივსაცემად გამოვა.

## ამერიკელი პატიმრის დაშოშმინებას 15 ზედამხედველის ძალისხმევა დასჭირდა



ამერიკის ილინოისის შტატის ჩიკაგოს ცენტრალური გამოსასწორებელი ცენტრის პატიმარმა 15 ზედამხედველთან იჩხუბა. სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ფეისბუქში იქნა განთავსებული.

პატიმრის შეკავებას, რომელიც საკნიდან გარეთ გამოჭრას ლამობდა, გამოსასწორებელი დაწესებულების ორი თანამშრომელი ცდილობდა. მან ერთ-ერთს ხელი ფეხში სტაცა და სამივე იატაკზე დაეცა. ჩხუბში კიდევ ოთხი ოფიცერი ჩაერთო, მაგრამ მისთვის ხელბორკილების დადება ვერ მოახერხეს და უკან დაიხიეს.

როდესაც მამაკაცი ფეხზე წამოდგა, ერთ-ერთმა ზედამხედველმა მას გაზის ბალონი სახეში შეასხურა და ჩხუბი განახლდა. საბოლოოდ იმისთვის, რომ პატიმარი დაემორჩილებინათ, საქმეში 15 ზედამხედველის ჩართვა გახდა საჭირო.

ჩხუბი სათვალთვალო კამერამ გადაიღო. ფეისბუქში ვიდეორგოლი 1,7 მილიონმა ადამიანმა ნახა და 15 ათასამდე მოწონება მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 7 სექტემბერი



**ვერძი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიფრთხილე და წინდახედულობა გამოიჩინეთ. ინტუიციას ნუ მიენდობით. **კურო** – გელით რომანტიკული შეხვედრა. ნებისმიერი აქტივობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – ნურაფერს დაგეგმავთ. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი პერიოდია. ფინანსური პრობლემები ვალის გარეშე, საკუთარი ძალებით მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – ემოციები აკონტროლეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **ლომი** – პასიური დღეა. გრძელვადიან გეგმებს ნუ დასახავთ. კარგი იქნება, თუ სპორტით დაკავდებით. ემოციები აკონტროლეთ. მოსალოდნელია დიდი სკანდალი. **ქალწული** – იყავით მიმტევებელი და დიდსულოვანი. მხოლოდ ასე შეძლებთ გარშემომყოფთა კეთილგანწყობის მოპოვებას. საღამოს ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს. **სასწორი** – იზრუნეთ სულიერ ცხოვრებაზე. მშვიდ გარემოში განმარტოება სასიკეთოდ წაგადგებათ. **ღრიანკალი** – ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. შესაძლოა, მათი დახმარებით კარიერა შეიქმნათ. პერსპექტიული დღეა. **მშვილდოსანი** – შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. **თხის რქა** – კარგი დღეა კომერციული საქმიანობისა და ბიზნეს-კონტაქტებისათვის. თქვენი აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – მამაკაცებს მაცდუნებელ წინადადებას შემოგთავაზებენ, მაგრამ თანხმობას ნუ იჩქარებთ. **თევზები** – კარიერაში წინსვლაა მოსალოდნელი. მამაკაცებმა სერიოზულად უნდა მიხედოთ ჯანმრთელობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 2. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება; 3. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 4. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 5. ღვინისა და დროსტარების ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული ძველად ათენსა და რომში; 10. მაროკოს დედაქალაქი; 11. უდაბნოში მზარდი მცენარე; 12. გერმანული ლუდი; 13. ფრანგი სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 16. პოპულარული, ლიგურიის ზღვისპირა კურორტი იტალიაში; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 21. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 23. შავი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 6. ორკორპუსიანი გემი; 7. რძის შაქარი; 8. პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში; 9. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 22. პატარა, სამკუთხა ალამი; 24. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 25. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 26. უზენაესი სასამართლო თურქეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. კობალტი; 2. ჩაქურა; 3. ალტრუიზმი; 4. „ჯამილე“; 5. ვესტერნი; 7. ცემი; 11. სანქცია; 13. თურქეთი; 15. ვაშლი; 16. ბადრო; 18. ეზოპე; 19. „დუნია“.

**თარაზულად**: 6. ოვაცია; 8. დანელია; 9. კომპასი; 10. ლარიქსი; 12. ყანწი; 14. სეტერი; 17. მარმელადი; 20. ბოცმანი; 21. „ალმაზა“; 22. პოლისი; 23. ჯოკოვიჩი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. კრიკინა; 2. ალბორადა; 3. სტივიდორი; 4. ნანსენი; 5. ციცინათელა; 10. „კახასა“; 11. ერისიონი; 12. ნესტანი; 13. ბომბორა; 16. „ჰართფილდი“; 17. პოლონეზი; 19. ირლანდია; 21. ცირკი; 23. ნოკია.

**თარაზულად**: 6. ტროგლოდიტი; 7. ლაკმუსი; 8. გიშერი; 9. „სინოპეკი“; 14. „გორდონსი“; 15. კუსტურიცა; 18. პენსი; 20. ზოსტერა; 22. ვანდომი; 24. მიოპია; 25. გლიპტიკა; 26. ჯაკუზი.

# „შინაურების“ პროდიუსერმა ტელეკომპანია „იმედი“ დატოვა




იუმორისტული გადაცემა „შინაურების“ პროდიუსერმა ლაშა ბასლანძემ ტელეკომპანია „იმედი“ დატოვა.

გადაცემა, რომელიც ადრე ტელეკომპანია ჯიდიესზე გადიოდა და „ბინა 18“ ერქვა, არხის რეორგანიზაციის შემდეგ „იმედზე“ გადავიდა, თუმცა ეთერში მხოლოდ რამდენიმე თვე გადიოდა.

ინფორმაცია ტელეკომპანია „იმედის“ დატოვების შესახებ ლაშა ბასლანძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– ჩვენი და „იმედი“-ს თანამშრომლობა მორჩა და იმედია, კარგად მორჩა. მადლობა, ნახვამდის და შედეგებს გაგაგებინებთ.

# დიზაინერი მარიამ გვასალია ლეიკემიას ებრძვის



ახალგაზრდა დიზაინერი მარიამ გვასალია ლეიკემიას ებრძვის. დიაგნოზის დადგენისთანავე მან მკურნალობა დაიწყო და საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი.

დიზაინერი სოციალურ ქსელში ვიდეოს აქვეყნებს, სადაც ცეკვავს და არ იცის, რომ ასეთ ვერაგ დაავადებასთან ბრძოლა მოუწევს:

– ამ ვიდეოს ვდებ არა იმიტომ, რომ განახოთ, როგორი ბედნიერი ვარ, როგორია ჩემი ყვითელი კაბა ან კიდევ ბევრი სხვა მიზეზი, რის გამოც ვაზიარებთ ხოლმე. ეს ხდება ჩემი დაავადების, განკურნებადია და ესაა მთავარი, გაგებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე. თურმე არ ვიცოდი, რომ უკვე მქონდა მწვავე ლეიკემია და კიდევ რამდენიმე.

ნურაფერი შეგაშინებთ, აქაც ბევრი რამ მაწუხებდა და არ ვუტყდებოდი თავს, რომ გამერკვია მიზეზი, ამაში არ მომბაძოთ! ცუდია. მოკლედ, მინდა გითხრათ, მოგმართოთ, გთხოვოთ თუ გირჩიოთ, არ გაიფუჭოთ ხასიათი, არ დანებდეთ, არ მისცეთ არაფერს საშუალება, მოგერიოთ. იბრძოლეთ!!! და კიდევ დიდი მადლობა ამდენი სიყვარულისთვის!

# „ვეფხისტყაოსანი“ პოლონურად ითარგმნა



შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ პოლონურად ითარგმნა. 9 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართება პოლონურ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“, ასევე ადამ მიცკევიჩის ეპიკური პოემის „პან თადეოზის“ უნიკალური მინიატურული გამოცემისა და ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ჟურნალის „პრო გეორგიას“ პრეზენტაცია.

ღონისძიება საქართველოს ეროვნული მუზეუმის, პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს საქართველოში და ვარშავის უნივერსიტეტის ორგანიზებით იმართება და მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# გოგი გვახარიას და სალომე ასათიანის გადაცემები აჭარის ტელევიზიაზე გავა



კინომცოდნე გოგი გვახარიას და ჟურნალისტ სალომე ასათიანის გადაცემები აჭარის ტელევიზიით გავა.

ორივე გადაცემის საზოგადოებრივ მაუწყებელზე დახურვას საზოგადოების დიდი პროტესტი მოჰყვა. რადიო თავისუფლების გადაცემები 12 სექტემბრიდან უკვე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში გამოჩნდება.

„წითელი ზონის“ ნაცვლად გოგი გვახარიას გადაცემას ახლა უკვე „ანარეკლები“ ჰქვია, რომელიც აჭარის ტელევიზიის ეთერში 12 სექტემბრიდან გავა. პირველი გადაცემა უკვე ჩაწერილია.

როგორც გოგი გვახარიამ ჟურნალისტებს განუცხადა, „წითელი ზონისგან“ განსხვავებით, გადაცემა სოციალურად და პოლიტიკურად მწვავე იქნება. თვეში ერთხელ კი დრო თვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვას დაეთმობა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის ნათია კაპანაძის განცხადებით, მაუწყებელში ბევრი სიახლეა დაგეგმილი:

– სექტემბრის ბოლოდან ეთერში გავა სალომე ასათიანის ანალიტიკაც. გარდა ახალი პროექტებისა, აქამდე არსებულ გადაცემებს მაყურებელი განახლებული ფორმატით ნახავს. იგეგმება რადიოს განახლებაც. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების გამო მაუწყებელი ერთიან ახალ სეზონს არ გეგმავს. ჩვენ ვისარგებლებთ რეიტინგების მთვლელი კომპანიების რეკომენდაციით და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი საეთერო ბადის მიღებამდე, განახლება მოხდება ეტაპობრივად. ამდენად, მაყურებლებს საშუალება ექნებათ, თვალი ადევნონ ცვლილებების პროცესს. 11 სექტემბრიდან ეთერში დაბრუნდება გადაცემა „ჰეშთეგი“ და დაიწყება გადაცემა „მთავარი სპორტში“ ბესი ჩიბურდანიძესთან ერთად. აჭარის რადიოს განახლებული სეზონით 2017 წლის 2 ოქტომბრიდან ექვსი ახალი გადაცემას შემოგთავაზებთ. გრძელდება შიდა იდეების კონკურსი ტელევიზიის მიმართულებით. მთავარი ინტერესია საბავშვო გადაცემების, საბჭოთა წარსულის გააზრების და აჭარის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მოქალაქე ჟურნალისტთა ჩართულობით შეიქმნას ახალი საინფორმაციო სივრცე მაუწყებელში. ისე, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს ხელმისაწვდომობა ტელე, რადიო და ინტერნეტპლატფორმებზე. თანამედროვე მედია ტექნოლოგიების გათვალისწინებით, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდება სოციალური ქსელები და ვებგვერდი.'

# ბალახაურში დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაცია დასრულდა



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდთან ერთად ბოლნისის მუნიციპალიტეტში ნასოფლარ ბალახაურში დარბაზული ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა.

ეკლესია ხრამის ხეობის მარცხენა მხარეს, სოფელ კოსალარის მოპირდაპირედ მდებარეობს. ეკლესიის ირგვლივ არსებული სასაფლაოს ქვები აქ ცხოვრების მრავალ საუკუნოვან პერიოდს უნდა მოიცავდეს, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ხეობის ისტორიისათვის.

ისტორიულ წყაროებში ამ ხეობის ირგვლივ არანაირი ცნობა არ მოიპოვება, არსებობს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ რუკაზე ამ ხეობის 27 დასახლებული სოფლის ჩამონათვალი. მათ შორისაა ბალახაური. ბალახაურის ეკლესიის ფასადებს გადაკეთების კვალი არ ეტყობა. მხატვრულ-არქიტექტურული ნიშნებით უნდა ეკუთვნოდეს გარდამავალი ხანის ძეგლთა სიას.

ეკლესიის მდგომარეობა კრიტიკული იყო, ეკალბარდებითა და ძეძვებით გარშემორტყმულ ტაძარს ჩამოქცეული ჰქონდა სახურავი, მორყეული იყო ქვები, დაშლილი იყო დუღაბი.

ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად კი გაიწმინდა შიდა სივრცე და დაზუსტდა რელიეფის დონე, გაიწმინდა სახურავი მიწისაგან და მცენარეებისაგან, გადაეწყო ფასადებიდან დაძრული საპირე ქვები, აღდგა ჩამონგრეული კედლები უხეშად დამუშავებული ბაზალტის ქვით, არსებული წყობის მიხედვით, კირის ხსნარზე. მოეწყო დარბაზის საბჯენი თაღი თლილი ბაზალტის ქვით, შემორჩენილი იმპოსტების მიხედვით, კამარის ქარგილების დადგმის შემდეგ მოხდა კამარის გადაყვანა კირ-დუღაბის ხსნარით, აღდგა კონქის დაზიანებული უბნები, გადაილესა კონქისა და კამარის ზედაპირი, მოეწყო თუნუქის საბურავი ლორფინის იმიტაციით, მოეწყო იატაკი დახერხილი ბაზალტის ფილებით, მოეწყო ამბიონი და საკურთხევლის საფეხურის შუბლი მასიური ქვისაგან, მოეწყო ტრაპეზის ქვა, ჩაისვა რკინის კარი და სარკმლები.

## კალეიდოსკოპი

# ბავარიელმა საგადასახადოს ინსპექტორმა რეკორდული რაოდენობის ლუდის კათხა ასწია



გერმანიის ქალაქ აბენსბერგში მიმდინარე ლუდის ფესტივალის მონაწილემ რეკორდული რაოდენობის ლუდით სავსე კათხა ასწია.

ბავარიელმა საგადასახადოს ინსპექტორმა ოლივერ შტრუმპფელმა ერთდროულად ხელში 29 ცალი ერთლიტრიანი კათხა დაიჭირა და ის 40 მეტრზე გადაიტანა. მან დაამხო რეკორდი, რომელიც 2014 წელს თავადვე დაამყარა. მაშინ მან 25 კათხის აწევა და გადატანა მოახერხა.

შტრუმპფელი ამტკიცებს, რომ რეკორდისთვის თებერვლიდან ემზადებოდა. ამისთვის ის კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ მიდიოდა სპორტულ დარბაზში. ის მიიჩნევს, რომ ამ შედეგის გაუმჯობესება შესაძლებელია.

– მე ჯერ ჩემი ზღვარისთვის არ მიმიღწევია, – განაცხადა შტრუმპფელმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სპორტი

# პსჟ–მ მბაპე წარადგინა



პსჟ-ს მფლობელმა, ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერების ავტორმა, ალ-ხელაიფიმ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციას ესწრებოდა კილიამ მბაპე, რომელიც მანამდე წარადგინეს.

ალ-ხელაიფიმი:

– რეალი ყველგან და ყოველთვის სოლიდური გუნდია. ჩვენ არასდროს შეგვშინებია კონკურენციის. მბაპეს დაინტერესება ბუნებრივი იყო. მას მოეწონა ჩვენი პროექტი. აქ არაფერ შუაშია მატერიალური საკითხები. ვაჯობეთ რეალს და ბედნიერები ვართ.

თავად კილიან მბაპემ პსჟ-ს ფეხბურთელის რანგში პირველი კომენტარი გააკეთა:

– ბედნიერი ვარ აქ ყოფნით. პარიზი ჩემი ქალაქია, აქაურობა ყოველთვის ძალიან მიყვარდა და მიზიდავდა. მადრიდის რეალი? დიახ, მე არაერთხელ დამირეკეს ესპანეთის დედაქალაქიდან, მაგრამ მაშინ მონაკოში დარჩენა მქონდა გადაწყვეტილი, ამიტომ უარი ვთქვი.

ფრანგი ახალგაზრდა კარიერას პარიზში განაგრძობს. ამ საკითხთან დაკავშირებით ზინედინ ზიდანმა კომენტარი გააკეთა:

– ზუსტად ვიცი, რატომ არ გადმოვიდა მბაპე რეალში და რატომ წავიდა პარიზში. არანაირი ფინანსური დაინტერესება – კილიანმა კონკურენციის და უცხო გარემოს შიში იგრძნო.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## პროგრამა

**ხუთშაბათი 7 სექტემბერი**

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. **"გამარჯვებული ვიქტორია"** **10.00, 03.00** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **12.30** ევრობასკეტ- 2017 **13.00, 04.00** დღის მხ/ფ **"შელახული სახელი"** (ი.ბერგმანი) **15.00** დოკ/ფ "ეგვიპტე" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. **"ოფისი"** **18.30, 05.40** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** დოკ/ფ **21.35 კალათბურთი** ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირის მატჩი. **ლატვია -თურქეთი** **23.20** მხ/ფ **"ტუტსი"** (ჯ.ლანგი) **01.20** მხ/ფ **"ანდერგრაუნდი. ჟულიან ასანჟის ისტორია"**

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზოზთ.**

**06.30** სერ. **"ღირსების სახელით"** **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.30** ქრონიკა **10.10** სერ. **"პატარძალი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. **"ელიფი"** **16.00** სერ. **"ოჯახური პორტრეტი"** **17.35** სერ. **"ხაფანგი"** **18.50, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"ძმა"** **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ **"ფიჭვნარს მიღმა"** **02.45** მხ/ფ **"რეგრესია"** **04.45** მხ/ფ **"ელიზა გრეივსი: დაწყევლილი სავანე"**

**05.00, 18.45** სერ. **"კაცი"** **06.00, 19.45, 20.03** სერ. **"დესპოტი ქმარი"** **07.00** სერ. **"ინდიანა ჯონსის მემკვირდეები"** **08.00, 09.10** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** **13.55** სერ. **"ფერიპას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"წარსულის ჩრდილი"** **16.55** სერ. **"დაკარგული წლები"** **22.00** კომედის კონცერტი - 2012 **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.15** მხ/ფ

**08.00** ან/ფ "ვარსკვლავური ომები" **3-4** სერ. **09.00** სერ. **"ცისფერი სისხლი"** **5-6** სერ. **11.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **1–2** სერ. **13.00** სერ. **"ძვლები-5"** **17.00** სერ. **"სიმართლის ანატომია 3"** **4-5** სერ. **19.00** სერ. **"ცისფერი სისხლი"** **7-8** სერ. **21.00** სერ. **"სპირალი"** **4** სერ. **22.30** სერ. **"სამეფო კარის თამაშები 6"** **03.30** მხ/ფ **"მიყვარს უსიამოვნებები"** **05.50** მხ/ფ **"ბარდასახვა"**

იბერია **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** დოკ/ფ **09.20** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **09.50** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის"** **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ"** **11.50, 1.30** მოდი გავეყაროთ **12.40** ბენეფისი **15.00** სერ. **"ბანდოლერა"** **18.00, 03.00** ღია სტუდია **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.10** მე რომ ვიყო **21.30** რემისია **22.35** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის "** **0.00** მხ/ფ **04.00** სერ. **"რაუ"**

**06.15** დ/ფ "განზომილება სადღეგრძელო" **06.45** პატერიკი "რატომ აღიკვეცა ბერად ერთი ქრისტიანი" **06.50** აქტუალური თემა "ასტროლოგია" **07.25** ქართული ალბომი "მიხეილ შარაშიძე" **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება - გაზელები" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.20** ეპოქა და ადამიანი "რევაზ ლაღიძე" **11.05** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "დავით არსენიშვილი" **11.30** ეპოქის სახელები "გიორგი ნიკოლაძე" **12.10** მხ/ფ **"მე , ბებია , ილიკო და ილარიონი"** **13.35** ან/ფ "პრინცესა და მფრინავი რაშის საიდუმლო" **15.05** ქართული ან/ფ "ერთხელ ტყეში, ბაკური " **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი - ბამფი" **16.15** ტრაპეზი "შემწვარი წიწილა ბროწეულის ბაჟეში" **16.00** კონცერტი **16.55** ქრისტიანული ხელოვნება "ღვთისმშობლის იკონოგრაფია" **17.30** ჩვ. ფონდი "ელდარ ბუბულაშვილი წმ. სინოდის შესახებ" **18.10** ერთხელ ბავშვობაში "მერაბ კოკოჩაშვილი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00 , 00.10** სიახლენი **19.15** მხ/ფ **"იმერული ესკიზები"** **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ფ "ქოზიფა" **22.20** სად უჩინარდებიან ჩემპიონები "დავით გობეჯიშვილი" **22.45** ჩვენი საგანძური "ღვთისმშობლის ხატი - - მსწრაფშემსმენელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ **"ბუდე "** **23.40** ღვთის სახლი "მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** დ/ფ "დედაო ღვთისა"

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 სექტემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.4502
- ევრო — 2.9177
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1723
- 100 რუსული რუბლი — 4.2366

## ამინდის პროგნოზი 7 სექტემბრისთვის




## 5 სექტემბრიდან

შიო გვეტაძე
**მონანიება**
ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## დიეგო კოსტა ლონდონში დაბრუნდა



ლონდონის ჩელსის ფორვარდი დიეგო კოსტა ლონდონში დაბრუნდა და ჩელსის მეორე გუნდთან ერთად ივარჯიშებს.

კოსტამ სამი თვე ბრაზილიაში გაატარა და თავდაპირველად მას ლონდონში დაბრუნება არ სურდა, მაგრამ საბოლოოდ ის დათანხმდა ჩელსის დუბლებთან ერთად ვარჯიშს. ყველასთვის ცნობილია, რომ იანვარში კოსტა ჩელსის დატოვებს და თავის ყოფილ გუნდს მადრიდის ატლეტიკოს შეუერთდება, სადაც ის ჩელსიმდე თამაშობდა.

დიეგომ ჩელსის დატოვება ანტონიო კონტესთან კონფლიქტის გამო გადაწყვიტა და, სავარაუდოდ, ის ჩელსის მაისურით მოედანზე აღარ გამოვა.

## ლივერპულის ყოფილმა მცველმა ხოსე ენრიკემ კარიერა დაასრულა



ლივერპულის და ნიუკასლის ყოფილმა მცველმა ხოსე ენრიკემ კარიერა 31 წლის ასაკში დაასრულა. ამის მიზეზი მუხლის ქრონიკული ტრავმაა, რომელიც ხოსე ენრიკეს მთელი კარიერის მანძილზე აწუხებდა.

ესპანელი ფეხბურთელის ბოლო გუნდი სარაგოსა იყო, სადაც მან ორი სეზონი ითამაშა, მანამდე კი 5 წლის მანძილზე ლივერპულის ღირსებას იცავდა და გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეც იყო.

ლივერპულამდე ხოსე ენრიკემ სახელი ნიუკასლში გაითქვა, სადაც ის ასევე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო.

## პელე: „კოუტინიო ლივერპულში უნდა დარჩეს“



ფეხბურთის ლეგენდამ პელემ თავის თანამემამულე ფილიპე კოუტინიოზე ისაუბრა და თქვა, რომ კოუტინიო იქ უნდა დარჩეს, სადაც არის და თავის გუნდთან ერთად უნდა მიაღწიოს წარმატებას.

– კოუტინიო შესანიშნავი ფეხბურთელია და, ვფიქრობ, არ არის აუცილებელი, რომ ის ესპანეთში წავიდეს სათამაშოდ. ლივერპული ძლიერი გუნდია და ფილიპემ იქ უნდა აჩვენოს თავისი შესაძლებლობები, – განაცხადა პელემ.

კოუტინიოს ზაფხულში ბარსელონაში სურდა გადასვლა, მაგრამ ლივერპულმა ეს ტრანსფერი დაბლოკა, რის გამოც კოუტინიოს ლივერპულის ხელმძღვანელობასთან მცირე კონფლიქტიც მოუვიდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



მამაკაცი ბანკის ოპერატორს ეკითხება:
– თქვენ ბანკში ანგარიშის გახსნა მინდა და ვის მივმართო?
– ფსიქიატრს!

●●●

ჩვეულებრივ გოგონებს უყვართ თოჯინები, ხოლო ბიჭებს მანქანები, თუმცა ასე მხოლოდ 17 წლამდეა, შემდეგ ყველაფერი პირიქითაა.

●●●

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:
– აბა მიპასუხე, როგორი ადამიანი უნდა იყო, სამოთხეში რომ მოხვდე?
– მკვდარი, მასწავლებელო.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:
– ძვირფასო, გავკოტრდი! ისევ ძველებურად გეყვარები?
– დიახ, საყვარელო, მაგრამ ძალიან მომენატრები!

●●●

დედა შვილს ეუბნება:
– რას წამოგორებულხარ? აბა სწრაფად ადექი და სკოლისაკენ!
– დეპრესიაში ვარ.
– რა დეპრესია?! დეპრესიაში რომ იყო, ამისთვის დიდხანს და კარგად უნდა ისწავლო, ბევრი იკითხო, იმსჯელო, იფიქრო. აბა, ადექი, პირი დაიბანე და სკოლისკენ!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
– გაიგე? გუშინ ქუჩური გარჩევის დროს ცალტვინა გივი დაცხრილეს. რვა ტყვია ესროლეს და ყველა თავში მოხვდა.
– მერე?
– რა მერე, ექიმმა თქვა, იცოცხლებს, ტყვიები ტვინს არ შეხებიაო.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– გორილას განიერი ცხვირის ნესტოები რატომ აქვს?
– აბა რა იქნება, ვერ ხედავ, რამსისქე თითები აქვს.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:
– გამარჯობა, ხვალე მუშაობ?
– ხვალე რა დღეა?
– არ ვიცი.
– ვმუშაობ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 7 სექტემბრიდან




რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## არგენტინამ ვენესუელას ვერ მოუგო და მდგომარეობა გაირთულა




არგენტინის ეროვნულმა ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ვენესუელა მიიღო და მისი დამარცხება ვერ მოახერხა. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა და არგენტინის ნაკრებმა ძალიან მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა.

ამჟამად არგენტინელები ჯგუფში მეხუთე ადგილს იკავებენ და არსებობს რეალური საფრთხე იმის, რომ ისინი 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ.

ვენესუელასთან არგენტინის ნაკრები სოლიდურ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ თავისი უპირატესობა გოლებში ვერ გამოსახა და საბოლოოდ მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

შემდეგ თამაშს არგენტინის ნაკრები პერუს წინააღმდეგ გამართავს და ამ შეხვედრაში არგენტინელებმა აუცილებლად უნდა მოიგონ.

## ანდრეს ინიესტას მომავალი კვლავ გაურკვეველია



ბარსელონას ერთ-ერთი ლიდერის ანდრეს ინიესტას მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია, რადგან ინიესტას წლის ბოლოს ბარსელონასთან კონტრაქტი უმთავრდება და ფეხბურთელმა არ იცის, განაახლებს თუ არა მას.

ინიესტას ჯერჯერობით არ მიუღწევია შეთანხმებისთვის ბარსელონას ხელმძღვანელობასთან და, შესაძლოა, მან სეზონის ბოლოს კატალონიური გუნდი დატოვოს.

ანდრეს ინიესტა ბარსელონაში 2004 წლიდან თამაშობს და მას მთელი კარიერა ბარსელონაში აქვს გატარებული. ბარსელონას ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ისინი ინიესტას დაითანხმებენ და ის ბარსელონაში დარჩება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ისტორიული სოფელი თეთრიწყაროს რაიონში; 2. ბულგარეთის ძველი დედაქალაქი; 3. ისტორიული პროვინცია ესპანეთში; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 7. აფრიკული თუთიყუში; 11. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 13. სოფელი საჩხერის რაიონში; 15. მდინარე ევროპაში; 16. ბრაზილიური ცეკვა; 18. გადამდნარი ღორის ქონი; 19. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი, გერმანული მეტალურგიული მანქანათმშენებელი კონცერნი.

**თარაზულად:** 6. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 8. მაწანწალა, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 9. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 10. ქართული ჟურნალი; 12. აღმოსავლური ტკბილეული; 14. ქართული მინერალური წყალი; 17. ყვითელი ფერის შემოდგომის ხილი; 20. ქართველი ველომრბოლელი, მსოფლიო ჩემპიონი; 21. აღმოსავლური, ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 22. მდინარე კიევში; 23. ისტორიული სატუსაღო პარიზში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**